ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 ოქტომბერი 2004 №237 (2258) ფასი 50 თეთრი


# უკრაინა არჩევნებისა და საქართველოსთვის ემზადება





# -2 ლვოვში ისე ეციება, ყველამ უნდა ირბინოს

ლვოვი. აი, ნამდვილი უკრაინა. ასე თვლიან იქაურები. ლვოვში ყოველთვის სძულდათ ჩვენი და უკრაინელების საერთო მტერი, ჩვენზე მეტად სძულდათ. კიდევ: ლვოვში უამრავი სპეკულიანტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და იქ ბევრიც არაფერი შეცვლილა. ეს კოხტა და საბჭოეთის დროს დისიდენტი ქალაქი ხვალ უკრაინა – საქართველოს მასპინძლობს და თურმე ბილეთები სალაროებში გამოტანამდე გათავდა – გადამყიდველებს უყოჩაღიათ. ერთი სიტყვით, დიდი აჟიოტაჟია. მიზეზი? ორი „დინამოს" ძველ ჯახთა ნოსტალგია თუ ქართველთა სადღეისო გამოცოცხლება? ალბათ ორივე და ბილეთიანი თუ უბილეთო ლვოველებიც მოუთმენლად ელიან ხვალინდელ დღეს. საერთო მტერი გვყავდა და იქნებ ქართველები და უკრაინელები მეგობრებად ჩავითვალოთ, მაგრამ ახლა უკრაინა ჩვენი მეტოქეა და ის ვისურვოთ, ჩვენს მეგობრებს მინდორზეც და ტრიბუნებზეც დასცხეთ. ლვოვში მზიური საქართველოდან ჩასულებს უკრაინელებმა შევჩენკოსა და კომპანიასთან ერთად ნამდვილი ყინვა დაგვახვედრეს – სინოპტიკოსები ხვალისთვის მინუს ორი გრადუსი ყინვით გვაშინებენ.

ამ დღეებში ლვოვში ფეხბურთით ცხოვრობენ, ცოტა ხანში კი ფეხბურთი აღარავის ემახსოვრება – უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება.

# ქართველები უკრაინაში გააციმბირეს

## ძველი დინამო ისევ მუშაობს







ჯოგა ინასარიძე
ლვოვიდან

კიევში საღამოს რვის ნახევარზე ჩავფრინდით. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებიც მალევე დაბინავდნენ — ეროვნული ლვოვში, ახალგაზრდული ჩერვონოგრადში.

ჟირესის გუნდი ფეშენებელურ „გრანდ ოტელში“ მოეწყო, უკრაინის ნაკრები კი დღეს საღამოს ჩამოდის და სასტუმრო „დნესტრში“ გაჩერდება.

როგორც შევიტყვეთ, უკრაინელები ტრავმებს არ უჩივიან, მწვრთნელ ოლეგ ბლოხინს ბერძნებთან თამაშის მერე ერთადერთი საფიქრალი გასჩენია, მთავარია, ძალების აღდგენა მოვასწროთო.



ორიოდ სიტყვა ლვოვზეც. რა კიევი, რის დონეცკი თუ ოდესა, ნაღდი უკრაინელი სწორედ ლვოველიაო, ამბობენ აქაურები და დასძენენ, უკრაინის სილამაზე თუ გინდა ნახო, ლვოვში უნდა წახვიდეო.

„რუხი“ გეხსომებათ, რაც იყო. ეს დისიდენტური მოძრაობა სწორედ აქ, ლვოვში დაწყებულა და ამათაც თავიც მოაქვთ, ქვეყნის საკეთილდღეოდ მხოლოდ ჩვენ ვილვწითო.

კიევიდან ლვოვში გასამგზავრებლად რომ ვემზადებოდი, ერთი აქაური გამომელაპარაკა, ცხადია, ხვალინდელ მატჩზე და სწორედ ამ კაცისგან შევიტყვე, თუ რამხელა ინტერესს იწვევს თამაში.

ამ მოულოდნელი აჟიოტაჟის მიზეზს აქაურებიც ვერ ხსნიან, თუმც ამ კეთილმა უკრაინელმა პირდაპირ მითხრა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა საინტერესო და ნოსტალგიურია ჩვენთვის საქართველოს ნაკრების მასპინძლობა, ეს ხომ კიეველი და თბილისელი ფეხბურთელების დაუვიწყარ შეხვედრებს გვაგონებსო.

ერთი სიტყვით, უკრაინა ემზადება, ემზადება ლვოვიც. გეცოდინებათ, უკრაინელები იუბილეს სამზადისში არიან, სწორედ ხვალ, 13 ოქტომბერს უკრაინულ ფეხბურთს 110 წელი უსრულდება და თავად განსაჯეთ, თუ რა ფაციფუცში არიან.

ზეიმი კი დღეს, დილიდანვე იწყება და მისი ერთი ნაწილი ახალგაზრდული ნაკრებების თამაშიცაა. ხვალ კი, მთავარ თამაშამდე ლვოვის ოპერაში დიდ ამბებს ელიან.

უკვე რა ხანია, ლვოვში არიან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, ბანდურკო, სტოროჟენკოვი და ლაშკული. თავად პრეზიდენტი გრიგორი სურკისი დღეს ჩამოვიდა.

და მთავარი. ბილეთებზე ამბებია, ნუ იტყვით. ქომაგებს ლამის დაუწყვეტიათ ერთმანეთი და ყველაზე საინტერესოც ისაა, რომ ბილეთები სალაროებში არ გაყიდულა. გადამყიდველებმა თავიდანვე „ივაჟკაცეს“ და გვარიანი ფულიც იშოვეს. ვინც თურმე თავის ფასში მოასწრო ბილეთის ყიდვა (50 გრივნა), მოასწრო, ვინც არა და, გაცილებით დიდი თანხით მოუხდა ჯიბის შეთხელება.

აქაური ჟურნალისტები ევროპის ჩემპიონ ბერძნებთან ფრეს ახლაც მისტირიან, რა თამაში ვერ მოვიგეთო. ბლოხინს თუ აქამდე მწარე-მწარე სიტყვებს არ აკლებდნენ, ახლა ტაქტიკა ოდნავ კი შეცვალეს, თუმც არც მთლად ისეა საქმე, რომ ვთქვათ, ცაში აჰყავთო. მაგალითად, ერთი უკრაინული გაზეთი წერს, ოლეგ ვლადიმიროვიჩ, თუ გვინდა საქართველოს მოვუგოთ, ქართველებთან სულ სხვა ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან და თუ ბურთი დაიჭირეს, მტრისას, მარტო სირბილით ვერ ვაჯობებთო.

და ერთიც. აქაურ ამინდზეც რომ არ ვთქვა, არ იქნება. უკრაინა „ცივად“ დაგვხვდა, ტემპერატურა კიევში მხოლოდ 4 გრადუსი იყო, თუმც ყველაზე უარესი თურმე წინაა — ხვალ, თამაშის დღეს ლვოვში მინუს 2 გრადუსი იქნებაო, უთქვამთ სინოპტიკოსებს.

ბოლოს ცოტაც ახალგაზრდულ ნაკრებზე. გოჩა ტყებუჩავას შეგირდები ჩერვონოგრადში, „შახტარის“ კოხტა სტადიონზე გაეჯიბრებიან უკრაინელ 21-წლამდელებს. დღევანდელი მატჩი თბილისის დროით ოთხ საათზე დაიწყება.

# გავაჩუმოთ იანკოპულოსი

## ოლეგ ბლოხინს 9 ოქტომბერი და ეიფორია აფიქრებს

საბერძნეთის ნაკრების ხოტორა ნახევარმცველი სტელიოს იანაკოპულოსი უკრაინასთან ნამატჩევს მეტოქის ქება-დიდებით დაიცალა — ახლა უკვე მჯერა, რომ ოლეგ ბლოხინის გუნდი ჩვენი უმთავრესი კონკურენტი იქნება დანიასა და თურქეთთან ერთადო. და საქართველო? გამორჩა თუ მართლა სათვალავში არ გვაგდებს ბერძენი, ამას დიდწილად ხვალინდელი მატჩი გაარკვევს. ლვოვის სტადიონ „უკრაინაზე“ ჩვენებს ოდნავ გულგატეხილი, თუმც, ცხადია, მოგებაზე დაგეშილი მასპინძელი დაუხვდება. გულგატეხილი კი იმიტომ, რომ უკრაინელები ევროპის ჩემპიონებთან ბოლო წუთებზე დაკარგულ მოგებას მისტირიან.

ოლეგ ბლოხინი კი ეიფორიას უფრთხის: „ზოგი ფიქრობს, რადგან ბერძნებთან ფრედ ვითამაშეთ, ქართველებთან სამი ქულა უკვე ჯიბეში გვაქვს. ასეთი ლოგიკა და პარალელები უაზრობაა. ალან ჟირესის გუნდში რამდენიმე სახელიანი მოთამაშეა და კიდევ ერთი მათი უპირატესობა ისაა, რომ 9 ოქტომბერს არ უთამაშიათ. ცუდია, რომ ქართველებთან მოსამზადებლად საკმარისი დრო არ გვაქვს. შაბათის მატჩში ნაწვიმარმა მინდორმა თავისი დაგვატყო (უკრაინელი ჟურნალისტები კი პირიქით ფიქრობენ, მძიმე გრუნტი ხელს ჩვენ უფრო გვაძლევდაო) და იმედია, ლვოვში ასეთივე მოედანზე არ მოგვიწევს ბრძოლა“.

პროგნოზებს უფრთხის უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრეგორი სურკისიც, საქართველომ თურქეთში არ წააგო, ბერძნების გამამწარებელ ალბანეთს კი ორი ბურთით სძლია და, მგონი, ეს იმის ნიშანია, რომ აქ ქულების ალებაზეც ფიქრობენო. სურკისმა დაამატა, სალაროებთან უკვე იგრძნობა აჟიოტაჟი და ვიცი, ლვოვის 29 000-იანი სტადიონი სავსე იქნებაო.

უკრაინის ნაკრები დღეს, ნაშუადღევს ჩავა ლვოვში და სასტუმრო „დნესტრში“ დაბინავდება. ჩვენები კი დღეს ორ ვარჯიშს ჩაატარებენ „უკრაინაზე“ და ორივე დახურული იქნება.

**ილია ნანობაშვილი**



სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
დავით ერაძეს დედის
**ლამარა ნარმანიას**
გარდაცვალების გამო

**ირლანდია**

პრემიერლიგა
XXX ტური

ბოჰემიანსი 2:0 შელბურნი
კორკ სიტი 2:0 ლონგფორდი
დუბლინი 1:3 უოტერფორდი

**იტალია**

სერია B
VII ტური

ემპოლი 1:0 ალბინოლეფე

სერია C1/A. VII ტური

პიზა 2:3 სპეცია

**ინგლისი**

კონფერენსლიგა. XII ტური

აკრინგტონი 2:1 ჰერეფორდი

**შვედეთი**

სუპერეტა გადადებული მატჩი

ვასტერასი 1:3 გეფლე



# გიორგი ნემსაძე: ბრძოლა და სირბილი უდავოდ, ხარისხსაც ვუმატოთ

საბჭოეთის დაშლის შემდეგ უკრაინა-საქართველოს სანაკრებო გზები ოთხჯერ გადაიხლართა და სტატისტიკით ნაღდად ვერ მოვიწონებთ თავს — კინკილა ფრე და სამი მარცხი. სტუმრად ჩვენებმა ერთხელ 0:4, მეორედ 1:2 იგემეს, თუმცა ეს მაინც ამხანაგური შეხვედრები იყო. ხვალ კი ორი გამორჩეული პოსტსაბჭოური საფეხბურთო ქვეყანა ოფიციალურად პირველად შეებმება ერთმანეთს, თანაც ამ შესარჩევ ციკლში წაუგებელი გუნდის სტატუსით.

ჩვენი ნაკრების ექს-კაპიტანი გიორგი ნემსაძე ჟირესის კრებულში აღარ ირიცხება, თუმც უკრაინელთა პლუსმინუსებზე და ქართველთა შანსებზე მისი აზრი სწორედაც რომ საინტერესო უნდა იყოს...

— ორი აზრი არ არსებობს, ძალიან გაგვიჭირდება. თანაც კალაძე და კვირკველია არ გვეყოლებიან, რაც დაცვაში პრობლემებს გააჩენს.

**— შენ აქამდე უკრაინელებთან ჩატარებულ ყველა მატჩში ითამაშე და პირველ რიგში რისი წყალობით გვიგებდნენ?**

— ახალს ვერაფერს გეტყვით, ყველამ იცის, რომ მათი კოზირი ფიზიკური სიძლიერეა. უკრაინელებში ერთ ფეხბურთელს ვერ ნახავთ, ამ კომპონენტში რომ არ ვარგოდეს. ტემპში უნდა ავყვეთ და ბრძოლისუნარიანობა უნდა დავუპირისპიროთ.

**— შევჩენკოს ფაქტორზე რას იტყვი?**

— ეს თავისთავად. ჩემს დროსაც მათი შეტევები ძირითადად შევჩენკოზე იყო აგებული.

**— ჩვენთვის როგორი ტაქტიკა იქნება მომგებიანი?**

— ბრძოლა და თავდადება ულაპარაკოდ, ასევე მაქსიმალურად უნდა შევუზღუდოთ სათამაშო სივრცეები და ამ შემთხვევაში ქულის წამოღება მაინც შეიძლება.

**— ბრძოლა კი, მაგრამ ნაკრების თამაშის ხარისხი ბევრს არ მოსწონს...**

— მე ნაკრებში აღარ ვთამაშობ და ჩემი მხრიდან იქნებ არაკორექტული იყოს, მაგრამ ხარისხი ძალიან მაფიქრებს. აშკარაა, თამაშის გაძღოლა, კარნახი გვიჭირს. თუ ამ მხრივ საქმე არ გამოსწორდა, მომავალში კიდევ უფრო გაგვიჭირდება.

**ილია ნანოგაშვილი**

# მცველმა მცველი აიყვანა

**„ჯელაძის საქმე"** რუსეთში კვლავაც აქტუალურია.

შეგახსენებთ: დაახლოებით ერთი თვის წინ მავანთ რუსეთში გამოქექეს, რომ მეორე დივიზიონში მოთამაშე სტერლიტამაკის „სადოვიკის" ქართველ მცველ ზვიად ჯელაძეს საპასპორტო პრობლემები ჰქონია. ჯელაძემ რუსეთის მოქალაქეობა ხუთი წლის წინ მიიღო და, როგორც რუსები ამბობენ, სერიოზული დარღვევებით.

რუსეთის საფეხბურთო კავშირმაც საქმე უმალ მოაკვარახჭინა — ჯელაძეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა, ჩემპიონატის ლიდერ „სადოვიკს" კი ყველა ჩატარებულ მატჩში 0:3 წაგება ჩაუთვალა.

ჯელაძემ კავშირის გადაწყვეტილება ახლახან სასამართლოში გაასაჩივრა. მოსკოვის სამოქალაქო რაიონული სასამართლოს დადგენილებით, საქმის განხილვამდე და განაჩენის გამოტანამდე კლუბს და ფეხბურთელს სასჯელი შეუჩერდათ.

რუსი ჟურნალისტების თქმით, ჯელაძეს და „სადოვიკს" საქმის მოგების მცირე შანსი აქვთ, თუმც ფაქტია, რომ დაზარალებულები უკან დახევას მაინც არ აპირებენ.

**ძახა შალამბერიძე**

# შევჩენკოსთვის ქართველები შემთხვევითი ხალხი არ არის



სამ მატჩში აღებული ხუთი ქულით უკრაინა თურქეთთან ერთად ლიდერობს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფს. თუმც ჩვენ ველით, რომ 13 ოქტომბრის მერე ასე არ იქნება: ამ დღეს ხომ უკრაინა — საქართველოა.

ბევრის გასაკვირად, ალენ ჟირესის გუნდმა შესარჩევი ეტაპი კარგად დაიწყო და ახლა მორიგი გამოცდის ჩასაბარებლად ემზადება. ჟირესი უკრაინელთაგან ყველაზე მეტად, ცხადია, ანდრეი შევჩენკოს უფრთხის. „შევამ" ახლახან ბერძნებს გაუტანა გოლი და ჩვენთან სათამაშოდაც კბილებს ილესავს.

ბუნებრივია, საინტერესოა, რას ფიქრობს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ბერძნებთან გასვლილ და საქართველოსთან მოახლოებულ მატჩებზე...

— თავისუფლად შეგვეძლო, საბერძნეთი 2:0 მაინც დაგვემარცხებინა, მაგრამ ფრეს დავჯერდით. ვფიქრობ, არც ესაა ცუდი შედეგი. ჩვენს თამაშში ბევრი დადებითი ალმოვაჩინე. ქულას კი თუნდაც იმიტომ ვთვლი წარმატებად, რომ მეტოქედ ევროპის ჩემპიონი გვყავდა.

**— მაინც რატომ გაუშვით უპირატესობა ხელიდან?**

— უმთავრესი შეცდომა ის იყო, რომ გოლის მერე დაცვის ტაქტიკა ავირჩიეთ. ამან ბერძნებს საშუალება მისცა, ტანმაღალი მცველი დელასი შეტევაში გაეშვათ და ჩვენს კართან ხიფათმაც იმატა. დელასი თავით კარგად თამაშობს, რამაც სირთულეები შეგვიქმნა. ის საბედისწერო ჯარიმაც ხომ დელასმა „აგვკიდა", თუმც გაწბილებული არ ვარ — უკრაინამ აჩვენა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია. ჩვენთვის ყოველი მატჩი გამოცდაა და ამიტომ არავისთან არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— რამდენიმე საკამათო ეპიზოდი კი იყო, მაგრამ ვთვლი, რომ მსაჯთან საპრეტენზიო არაფერია. მით უმეტეს, მატჩი ძალიან რთული გამოდგა. არბიტრის გადაწყვეტილებებს კი შედეგზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია. ამ მხრივ საწუწუნო ნაღდად არ გვაქვს.

**— შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ უკრაინამ ბერძნებს თამაშის საშუალება მოუსპო. ასე კარგად იცნობდით მეტოქეს?**

— ვფიქრობ, ეს ასეა. თამაშის ხარისხი გაფიქრებინებდათ, რომ ოტო რეჰაგელს და მის გუნდს აქამდე ასე არავისთან გასჭირვებიათ. მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ... ახლა რაღა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს. უბრალოდ, არ გაგვიმართლა და თან ბოლო 20 წუთი ჩავაგდეთ — დაცვაში ჩაჯდომამ ხეირი არ მოგვიტანა.

**— ფრემ თქვენი თანაგუნდელები ძალიან გაალიზიანა, თქვენ კი კმაყოფილი ჩანხართ...**

— ყოველ შემთხვევაში, თავის მოკვლის მიზეზს ვერ ვხედავ. მართალია, მოგება ხელიდან გავუშვით, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, ვისთან. ამიტომ მსიამოვნებს, რომ უკრაინამ ღირსეულად ითამაშა საბერძნეთის წინააღმდეგ.

**— საქართველოსთან მოახლოებულ შეხვედრაზე რას ფიქრობთ?**

— ურთულესი მატჩი იქნება. საქართველოს ნაკრები შემთხვევით არაა ცხრილის ზედა ნაწილში. ქართველებს ჰყავთ ბევრი მაღალი დონის ფეხბურთელი, რომლებიც ევროპის წამყვან ჩემპიონატებში თამაშობენ. თან ჩვენ დაღლილები ვართ და ორმაგად მძიმე თამაში გველის. არანაირი პროგნოზის გაკეთებას არ ვაპირებ. ფაქტია, რომ ჩვენს ჯგუფში სიურპრიზს ნებისმიერი გუნდისგან უნდა ველოდოთ.

**— გეცოდინებათ, ლვოვში ვერ ითამაშებს კახა კალაძე...**

— ვიცი და კახას ამის გამო მადლობაც გადავუხადე. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, კალაძის არყოფნა ჩვენთვის დიდი პლუსია. ის გამოცდილი ფეხბურთელია, გუნდის კაპიტანიცაა და თან ახლა ძალიან კარგ ფორმაშია. ამიტომ მისი დისკვალიფიკაცია ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეღავათია.

**— თქვენ „ოქროს ბურთის" ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტიც ხართ...**

— ის დრო წავიდა, როცა მხოლოდ ნაკრებში ან მხოლოდ კლუბში თამაშით შეგეძლო ხალხის „მოთაფვლა". ახლა თუ მაგარი ხარ, ყველგან მაგარი უნდა იყო. მაგრამ ინდივიდუალურ მიღწევებზე ნაკლებად ვფიქრობ. მე ფეხბურთს ვთამაშობ და ქომაგებმა და სპეციალისტებმა შემაფასონ. ახლა კი მხოლოდ საქართველოსთან მატჩზე ვფიქრობ...





# უკრაინაში კაცების თამაში იქნება

## მთავარია, არ წავაგოთ

უპრესატაშო ალენ ჟირესი გუშინაც წარდგა ჟურნალისტების წინაშე, პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ კი გუნდთან ერთად ავტობუსში ჩაჯდა და ჩვენი ეროვნული ნაკრებიც აეროპორტისკენ დაიძრა.

ერთი სიტყვით, უკრაინასთან მატჩის წინ ჟირესმა თბილისში გუშინ მესამე პრესკონფერენცია გამართა — მასმედია ჩვენი პარტნიორია — ამ მარტივ, მაგრამ მნიშვნელოვან პრინციპს ჩია ფრანგი არ ღალატობს.

— დღეს მივემგზავრებით უკრაინაში და, ასე ვთქვათ, კარს მომდგარი მატჩის რიტმში უკვე შევდივართ. უკრაინაში რომ ჩავალთ, პირველ რიგში ჰაერის ტემპერატურას მივაქცევ ყურადღებას — იქ სულ სხვა კლიმატია და ალბათ თბილისთან შედარებით სიცივე იქნება. დღეს საბოლოოდ გადაწყდა, რომ დავით კვირკველია უკრაინაში ვერ წამოვა — მას ალბათ ტრავმიანობა კიდევ გაუგრძელდება და კარგი იქნება, თუ დაისვენებს. რაც შეეხება ზურაბ ხიზანიშვილს, ის უკვე სრულ მზადყოფნაშია.

— კაპიტნის საკითხი ჯერ არ გადაგიწყვეტიათ?

— გუნდის კაპიტანს საღამოს დავასახელებ.

— ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციებით კმაყოფილი ხართ?

— ყველა ჯანმრთელადაა და რასაც ვარჯიშებზე ვუყურე, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი. რაც შეეხება მენტალურ მხარეს, ჩვენი ფეხბურთელები ფსიქიკურ ზეწოლას არ განიცდიან, კარგად არიან დამუხტულნი.

— რა ტაქტიკით, როგორ აპირებთ უკრაინასთან თამაშს?

— იმას დავეყრდნობი, რაც ადრე გვქონდა. თუმც არაა გამორიცხული, რომ პატარა ცვლილებებს მივმართო, რასაც ახლა ვერ გაგიმხელთ.

— რეალურად რისი ძალა შესწევს საქართველოს ნაკრებს სტუმრად უკრაინასთან?

— მთავარია, არ წავაგოთ.

— 9 ოქტომბერს უკრაინა—საბერძნეთის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ვერ უყურეთ, რადგან დენი გაითიშა — ამ დღეებში ხომ არ გინახავთ მატჩის ვიდეოჩანაწერი?

— არის ხალხი, ვინც ზრუნავს საქართველოს ნაკრებზე და საშუალება მომეცა, მატჩის ვიდეოჩანაწერი მენახა. უკრაინელებს ძალიან სოლიდური, ძნელად გასავლელი დაცვა ჰყავთ, მათი ნახევარდაცვა აგრესიულობით გამოირჩევა, თავდასხმა კი სისწრაფით — სუსტი წერტილები უკრაინის ნაკრებში თვალშისაცემი არაა.

— და ასეთ გუნდს რას დაუპირისპირებთ?

— ბურთი უნდა გავაგოროთ და სივრცეები მოვძებნოთ.

— ოლეგ ბლოხინამდე უკრაინას ლეონიდ ბურიაკი წვრთნიდა — როგორ ფიქრობთ, მწვრთნელთა ცვლამ გუნდის ხელწერა მნიშვნელოვნად შეცვალა?

— ხელწერა სიტუაციიდან გამომდინარე იცვლება. ფაბიო კაპელო ახლა „იუვენტუსშია“ და გუნდს სულ სხვა სტილით ათამაშებს, ვიდრე „რომას“. მოკლედ, მწვრთნელმა ფეხბურთელს ის არ უნდა დაავალოს, რაც ამ ფეხბურთელს არ შეუძლია — ხელწერა ფეხბურთელების შესაძლებლობებზეცაა დამოკიდებული.

— უკრაინაში გამგზავრების წინ რას ეტყოდით ქართველ გულშემატკივარს?

— უკრაინაში შემართებით მივდივართ, მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. უკრაინასთან მატჩი კაცების თამაში იქნება, მინდორზე ჩვენი ფეხბურთელები კაცები უნდა იყვნენ — ქართველ გულშემატკივარს მსურს ვუთხრა, რომ ვიცით, თუ რისთვის მივდივართ უკრაინაში.

**დავით თავართქილაძე**

# რატომ ჰგავს ნაკრების მწვრთნელი მზრუნველობას მოკლებულ ბავშვს?

ალენ ჟირესის გუშინდელი პრესკონფერენცია რომ დამთავრდა, სასტუმრო „ბატესტაში“ დაბინავებული ფეხბურთელები სააეროპორტოდ დაქოქილ ავტობუსში სხდებოდნენ. ამ დროს ნაკრების ფორვარდი შოთა არველაძე ფეხბურთის ფედერაციის ხელახლა დანიშნულ გენმდივან ვალერი ჩოლარიას ელაპარაკებოდა და მერე საუბარს ჟირესიც შეუერთდა. საქმე ასე იყო:

მოქმედება პირველი: შოთა ჩოლარიას ეუბნება, რომ ნაკრების ფეხბურთელებს არასათამაშო მაისურებზე, რომლებითაც შეკრებაზე არიან და მგზავრობენ, არც „ჯორჯია“ აწერიათ და არც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გერბი აქვთ. ჩოლარია იცინის.

მოქმედება მეორე: შოთა ჩოლარიას ეუბნება, რომ ჩია ჟირესს „პუმას“ XXL ლაბადა დიდი აქვს და მას ვარჯიშისას ამიტომ ვერ იცმევს, „პუმა“ კი საქართველოს ნაკრების ეკიპირებაა და ყველას „პუმა“ უნდა ეცვას. ჩოლარია იცინის და შოთას მხარზე ხელს უთათუნებს.

მოქმედება მესამე: ჟირესი სასტუმროდან გამოდის და შოთა-ჩოლარიასთან მიდის. შოთა ჟირესს ეუბნება, თქვენ ვარჯიშებზე „ადიდასი“ გაცვიათ და იქნებ „ადიდასის“ ნაწარმი საუკეთესოცაა, თუმც ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთნაირად უნდა გვეცვას, მაგრამ... ცუდი მოცეკვავისთვის სამოსს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ყველაფერ ამას ჩემთვის როდი ვლაპარაკობ. ჟირესი თავს უქნევს ფეხბურთელს. ჩოლარია იცინის და ამბობს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**დავით თავართქილაძე**



# რაზე ჩივის ჟირესი ფრანგებთან

## მე ვეძებ მუშებს

ალენ ჟირესის საქართველოს ნაკრებში საქმიანობამ და შესარჩევი ციკლის პირველ ორ მატჩში აღებულმა ოთხმა ქულამ ფრანგული მედიაც დააინტერესა. ჩვენი ეროვნული ნაკრების საუკრაინო შეკრებაზე თბილისში რამდენიმე ფრანგი ჟურნალისტი იყო ჩამოსული და როგორც გუშინ ჟირესმა გვითხრა, ერთ-ერთ ფრანგულ ტელეარხზე რეპორტაჟი უკვე გადაიცა. ერთი ფრანგი ჟურნალისტი კი ჟირესს და საქართველოს ნაკრებს უკრაინაშიც გაჰყვა — ჟან-მარი ლანფ „ფრანს ფუტბოლიდან“

მუსიე ლანფს გამოველაპარაკეთ და მისგან რამდენიმე ყურადსაღები ამბავიც შევიტყვეთ. ლანფ ირწმუნება, რომ მწვრთნელი ჟირესი საფრანგეთში პატივისცემით სარგებლობს მიუხედავად იმისა, რომ სამშობლოში მნიშვნელოვანი წარმატებები არ ჰქონია. ქართველების თურქეთთან ფრემ კი ჟირესს, როგორც მწვრთნელს, საფრანგეთში იმიჯი საგრძნობლად გაუუმჯობესა. ფრანსფუტბოლელმა ისიც გვითხრა, რომ ჟირესს თბილისი და საქართველოს ნაკრებში მუშაობა ძალიან მოსწონს — ამას ეუბნება ჟირესი ფრანგულ მედიას. ლანფმ განგვიმარტა, რომ ფრანგ მწვრთნელებს აფრიკაში სამუშაოდ წასვლას ისეთ ევროპულ ქვეყანაში მუშაობა ურჩევნიათ, როგორიც საქართველოა.

და რას უჩივის ჟირესი საქართველოში? მას ფრანგი ჟურნალისტებისთვის უთქვამს, რომ გუნდში, ასე ვთქვათ, შემსრულებელი ფეხბურთელები კი ჰყავს, მაგრამ მუშა მოთამაშეებს საგულდაგულოდ დავეძებო.

**დავით თავართქილაძე**

# ძლიერი დამარცხებული

## იტალიამ წააგო, რადგან უტევდა

*მარჩელო ლიპისა და იტალიის ნაკრებს თაფლობის თვე აშკარად დაუმთავრდათ და დადგა ცხოვრებისეული გამოცდის მწარე ჟამი — „სკუადრა აძურამ“ სლოვენიასთან წააგო. ეს, პირდაპირ ვთქვათ, სენსაცია იყო. დიახ, თანამედროვე ფეხბურთში საერთო დონე გათანაბრდა. ხშირად ისინი, ვინც ადრე აუტსაიდერებად მოიხსენიებოდნენ, ფავორიტებს ტოლს არ უდებენ, მაგრამ ყოველივე ამის ფონზეც კი იტალიელთა ეს მარცხი დიდად გასაკვირი აღმოჩნდა*




მარჩელო ლიპიმ „სკუადრა აძურა“ კრიტიკოსებისგან დაიცვა

**„განაწყენებული,** გულდაწყვეტილი, გაბრაზებული და გაღიზიანებული გახლავართ — განაცხადა მარჩელო ლიპიმ, როდესაც მომხდარის კიდევ ერთხელ გახსენება და აზრის გამოთქმა სთხოვეს — ასე ითამაშო და წააგო, შეუძლებელია. ერთადერთი შეცდომა დავუშვით და საშინელი ფასი გადავიხადეთ. სლოვენიას მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორი საგოლე მომენტი ჰქონდა და ისიც, ამ ორიდან ერთი ჯანლუკა ძამბროტას ავტოგოლი იქნებოდა. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეუბნებით, შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო და მაშინაც კი დავიწყებდით ხელიდან გაშვებულ მომენტებზე ჩივილს. ახლა ასეა, ამ დამარცხებამ ნაკრების ფსიქოლოგიურ განწყობაზე თუ იმოქმედა, მაშინ ის შეიძლება მართლა ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ. ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ერთი ეს შეიძლება პროგრესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყოს და მეორე, გუნდი შეიძლება დამარცხდეს მაშინაც კი, როდესაც მეტოქე მის კართან მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთ ან ორ სახიფათო მომენტს ჰქმნის.

საკმაოდ ირონიულია, რომ დავმარცხდით, რადგან შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ. კიდევ კარგი მიმდინარე შესარჩევ ციკლში ეს მხოლოდ მესამე მატჩი იყო და ჯერ სატურნირო თვალსაზრისით გადაწყვეტილი არაფერია.

გიმეორებთ, ერთადერთი, რაც ჩვენ სწორად არ გავაკეთეთ ის იყო, რომ ბურთი ბადეში არ შევგვიგდია. ლუკა ტონიმ იგი ხარიხას გაარტყა, ხოლო ფრანჩესკო ტოტიმ ძელს.

ახლა ტოტის შესახებაც მოგახსენებთ. ჯერ ერთი, ვერ გამიგია სულ ტოტის შესახებ რატომ ლაპარაკობთ. მან კარგად ითამაშა და გააკეთა ზუსტად ის, რისი გაკეთებაც ვთხოვე. ეს იყო როგორც ნახევარმცველობა, ასევე ფორვარდობა.

კარგი იყო დებიუტანტი მაურო ესპოზიტოც. ერთ მომენტში მას და მაურო კამორანეზის ფლანგები გავაცვლევინე კიდეც, მაგრამ მერე, თამაშის ბოლოსკენ დაღლა დაეტყო და იძულებული გავხდი შემეცვალა.

საერთოდ კი მინდა ერთ რამეში დაგარწმუნოთ. ჩვენი ფეხბურთელები სლოვენიელებზე ნაკლებ მოტივირებულნი არ იყვნენ, ასე, რომ უგულოდ თამაშს ნურავინ დაგვაბრალებს. ზღაპრები, რომლებიც იტალიურ პრესაში იწერება, გაზეთების ინტერესისთვისაა მოგონილი და გარდა ამისა, არავის დაუდგენია, რომ უფრო სუსტმა გუნდმა უფრო ძლიერს არასდროს და არსად არ უნდა მოუგოს“.

ჟურნალისტებმა პასუხი „სკუადრა აძურას“ სხვა ფეხბურთელებსაც მოსთხოვეს. გთავაზობთ მათ პასუხებს:

„ჩვენ მხოლოდ ერთ ეპიზოდში წავაგეთ, როდესაც ჩვენს კარში გოლი შევარდა — თქვა ჯანლუკა ძამბროტამ — სხვა მხრივ კი შეცდომით არაფერი გაგვიკეთებია. ეს დამარცხებამ ბელარუსთან შეხვედრის წინ დამატებითი სტიმული უნდა მოგვცეს“.

ფაბიო კანავარო: „ფეხბურთი სამწუხაროდ ასეთი რამაა, თუ შენ ბევრ მომენტს ვერ გამოიყენებ, მოწინააღმდეგე ერთადერთს შეგიქმნის და გაგიტანს. იმის გამო, რომ წავაგეთ, ჩვენი თამაში მთლიანობაში არ უნდა დავიწუნოთ, ხოლო ყველაფერზე მნიშვნელოვანი ახლა ბელარუსთან გამარჯვებაა“.

მარკო დი ვაიო: „წავაგეთ, მაგრამ თავს ისევ ისეთ ძლიერ გუნდად ვგრძნობთ, როგორც ამ წაგებამდე ვიყავით. ამ შედეგს ჩვენთვის საერთოდ არაფერი შეუცვლია და საერთოდაც, თუ ჩვენსა და სლოვენიელებს შორის ვინმეს მოგება ეკუთვნოდა, ეს ჩვენ ვიყავით. ეჭვი არ გვეპარება, რომ სწორ გზას ვადგავარ და გამარჯვებას ბელარუსთან გაჩვენებთ. ისევ კანავარო: „რა ლოგიკით საყვედურობენ ლიპის ჟურნალისტები, რომ გუნდში მეტისმეტად ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაშინ, როდესაც ცოტა ხნის წინ თავად აკრიტიკებდნენ ტრაპატონის ალბერტო ჯილარდინო ევრო 2004-ზე არ მიჰყავს და არ ათამაშებო. ამ ბიჭებმა ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მოიგეს და ჩვენს გუნდში მნიშვნელოვანი ახალი ტალღა შემოიტანეს. ისე კი, ჩვენი, იტალიელების ამბავი გამკვირვებია. ცუდის დანახვას ერთმანეთს ვასწრებთ, კარგზე კი თვალები გვაქვს დახუჭული. რას ვერჩით ჯილარდინოს? ცხადია, მან უნდა განაგრძოს თამაში და ცხადია, სხვებმა თავი უნდა დაანებონ“.

**ბაჩუნა ძიდია**

*დაბოლოს, იტალიურ პრესაში მიგნებულ ფეხბურთელთა შეფასებებს გთავაზობთ. ვინაიდან საუბარია მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ გუნდზე და მის მოულოდნელ მარცხზე. ვფიქრობთ, ამჯერად ეს გადაჭარბებული არ უნდა იყოს*

*ბუფონი:* დაცვის შეცდომის მიუხედავად გოლის მომენტში უკეთ შეეძლო თამაში. სხვა მხრივ მთელი მატჩის მანძილზე, ჩვეულებრივი მაყურებელი იყო.

*კანავარო:* რამდენჯერმე საჭირო წამს ორთაბრძოლაში შესვლის ცნობილი ნიჭი კვლავაც დაადასტურა. კარგ ფორმაშია.

*ბონერა:* ჩაშლის ნაწილში კარგი იყო. მისთვის დამახასიათებელი უხეშობისთვის ყვითელმ მიიღო

*ნესტა:* სველ მინდორზე თავდაჯერებული არ ჩანდა.

*ძამბროტა:* ისევ მთელი ძალ-ღონე და ნიჭი ჩააქსოვა თამაშში. შედარებით მდარე ბოლო პასი და შეტევის დამთავრება ჰქონდა.

*დე როსი:* საჯარიმოდან საჯარიმომდე ირბინა და იმუშავა

*გატუზო:* არ გაჩერებულა, მაგრამ ამით სარგებელი ვერ მოიტანა.

*ესპოზიტო:* მარცხენა ფრთაზე საშინელება იყო, მარჯვენაზე რომ გადაიყვანეს, გამისწორდა. ვერ გამოიყენა იტალიის ნაკრების ყველაზე სახიფათო მომენტი.

*ტოტი:* მისგან მეტი მოითხოვება.

*კამორანეზი:* დრიბლინგში ვარგოდა, მაგრამ შემდეგ ხშირად სულელურ პასებს აწვდიდა.

*ჯილარდინო:* ისევ ვერ გაიტანა, მოძრაობდა, იხსნებოდა, მაგრამ ხშირად მარტოობაში იყო.

შეცვლაზე შესულნი

*ტონი:* ახლოდან ძელს გაარტყა ბურთი.

*ფიორე:* თამაშში ვერ ჩაერთო

*დი ვაიო:* არაფერი გაუკეთებია.



ალბერტო ჯილარდინოს და იტალიელებს სლოვენიაში აშკარად არ გაუმართლათ

# პიპო მატყუარა არ არის

## ფილიპო ინძაგი გულწრფელად ამბობს, რომ კარიერის „სან სიროზე“ დასრულებას ოცნებობს

**„როდესაც** თავდამსხმელს 20 გოლის გააქვს კლუბისთვის, მისი მხარდაჭერა და წახალისება იოლია, მაგრამ როდესაც თავდამსხმელი დაშავებულია და თვეობით არ თამაშობს, მისი შენახვა უკვე სხვა ელფერს იძენს. ამიტომაც ვუხდი ძალიან დიდ მადლობას ქომაგებსა და საკუთრივ „მილანს“, ასეთი მხარდაჭერისა და რწმენისთვის. გარწმუნებთ, ვალში არ დავრჩები“.

აქ დავძინოთ, რომ „შავ-წითლებმა“ თავიანთ ვარსკვლავებთან, ანდრეი შევჩენკოსთან, კაკასთან, დიდასთან და კლარენს ზეედორფთან ახალი კონტრაქტები გააფორმეს.

„ამ ზოლებიანი მაისურით წინ ბევრი ზეიმი მეგულება — განაგრძო ინძაგიმ, რომლის კონტრაქტს ვადა 2008 წელს გაუდის — და მინდა ჩემი კარიერა აქ, „სან სიროზე“ დავასრულო. ამის თაობაზე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის უკვე ვესაუბრე. მინდა, კონტრაქტში კიდევ ერთი წელიწადი ჩავწერო. გალიანიმ მითხრა, რომ როცა მომესურვება, შემიძლია ოფისში მივაკითხო“.

შეგახსენებთ, რომ ინძაგის ხუთი თვეა არ უთამაშია, კოჭს მკურნალობდა. ოპერაციაც კი დასჭირდა. მეორე მხრივ, იგი დიდებული ფორვარდია, რაც თუნდაც ასე დასტურდება — ინძაგის ევროთასებზე გატანილი გოლების რეკორდამდე მხოლოდ ერთი ბურთის შეგდება აშორებს. რეკორდი, 49 გოლი კი ლეგენდარულ ალფრედო დი სტეფანოს ეკუთვნის.

„ბოლო დღეებში ყველა ამ რეკორდზე მელაპარაკება. მის დამყარებამდე, ერთადერთი გოლის გატანაღა მაკლია და მატყუარა უნდა ვიყო, რომ თავი მოვიკატუნო, თითქოს ამ მომენტამდე ერთი სული არ მქონდეს“.

**ბაჩუნა ძიდია**





დევიდ ბექემის ტრავმამ „რეალი“ დააფრთხო

# რეალი ნეკნის გამო ბრაზობს

**მადრიდში** მეტად სწუხან იმის გამო, რომ დევიდ ბექემმა ნეკნი გაიტეხა უელსთან სანაკრებო მატჩში. „რეალიდან“ გამოსული ხმებით, კლუბს უნდა, რომ იმ კვირაში ბექჰი ჯანმრთელად იყოს და კიევის „დინამოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში ითამაშოს. ამიტომ, წუხილს ბრაზიც ემატება.

„ბერნაბეუს“ შინაკაცების ცნობით, ბექემის გამოჯანმრთელება სურვილი კი არა, მოთხოვნაა და თანაც მკაცრი. უფროსობის აზრით, ამგვარი ტრავმების მოშუშების სისწრაფე თავად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული და თუ მოთამაშე ვაჟკაცია, ასეთ რამეს არ გაწელავს და არ მოეფოფინება.

ოთხშაბათს ბექემი სანაკრებო მატჩს ტოვებს, აზერბაიჯანში ვერ მიემგზავრება. მადრიდში ამბობენ, რომ მას ორდღიან ბიულეტენს მისცემს, მერე კი კვლავ შეუმოწმებენ ნეკნებს.

„რეალის“ ექიმის, სერასოტას აზრით, გადამწყვეტი სწორედ ეს ორი-სამი დღეა. შეხორცებასთან ერთად ბექჰს ტკივილი უნდა გაუნელდეს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გაღმელი მოდის

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამერიკელი მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მეწილე და პატრონი შეიქნება, გულშემატკივრების პროტესტის მიუხედავად*

**საქვეყნოდ** გახმიანდა, რომ გლეიზერი უკვე ელაპარაკა „მანჩესტერის“ უმსხვილეს აქციონერებს, ირლანდიელ მილიარდელებს და ცხენოსნობის მაგნატებს, ჯონ მანიესა და ჯეიმი მაკმანუსს. ამათი წილი „იუნაიტედში“ 29 პროცენტია, ხოლო გლეიზერისა ცხრამეტი. ჯამში ამერიკელი კლუბის აქციათა 48 პროცენტის მფლობელი შეიქნება. მაკმანუსი და მანიე 3-3 მილიონ გირვანქას მიიღებენ თითო ფასიან ქაღალდში და ჯამში 35-35 მილიონი მოუგროვდებათ.



„მანჩესტერ იუნაიტედის“ მომავალმა მეპატრონემ, ამერიკელმა მალკოლმ გლეიზერმა სერ ალექს ფერგიუსონს ნდობა გამოუცხადა

ოღონდაც კანონის მიხედვით, თუ კაცი რაიმე საწარმოს ქაღალდების 30 პროცენტს ფლობს, შეუძლია დანარჩენი 70 პროცენტის შესყიდვაც მოითხოვოს. გლეიზერი ასეც მოიქცევა და კლუბის სრული ბატონ-პატრონი გახდება, რაიც კიდევ 700 მილიონი გირვანქა დაუჯდება. თუმცა, გლეიზერს ეს არ შეაჩერებს და არც გულშემატკივართა პროტესტი.



„მანჩესტერის“ გულშემატკივართა ნაირგვარი ჯგუფი მეტად უარყოფიდად აფასებს ამ ამბავს. მაგალითად, ერთი ჯგუფი, რომელსაც „მანჩესტერის“ განათლების კომიტეტი“ ჰქვია, უკვე საქმეზე გადავიდა. რეზერვისტების თამაშზე ისინი მშვიდობიანი სვლით გამოჩნდნენ მოედანზე და ტრანსპარანტიც გამოიტანეს: „არ იყიდება“.

ეს ყველაფერი „ემიუტივიმ“, კლუბის ტელევიზიამ გადაიღო, ოღონდაც ეთერში არ გაუშვა. წინ უფრო ხმაურიანი აქციებიცაა. გლეიზერი კი ამბობს, რომ წელიწადში 25 მილიონ გირვანქას კლუბის შემოსავლებს დაახმარს და მენეჯერად სერ ალექს ფერგიუსონს დატოვებს.

**ირაკლი გამყრელიძე**




პოლ გესქოინმა ცხოვრება შეიცვალა

# გაზა აღარ ვარო

**პოლ გესქოინი**, რომელიც ახლა მწვრთნელობის სწავლას აპირებს, ჩანს, მართლაც ცვლის თავის ცხოვრებას. ის აღარ ლოთობს და საქმესაც სერიოზულად უდგება. ოღონდაც, ეს მიდგომაც ახირებული გამოსდის. მაგალითად, ამასწინათ გესქოინმა გამოაცხადა, რომ აღარავის გაეპასუხება, თუ მის საქვეყნო მეტსახელს „გაზას“ დაუძახებენ.

„მე გაზა აღარ ვარ. ახლა სხვა კაცი ვარ. ის, რასაც გაზა გულისხმობს, ჩემში აღარ არის“ — ამბობს ის. ის კი არა და, გადაუწყვეტია, სახელიცა და გვარიც შეიცვალოს, რათა სხვა კაცად აღიქვან. მაინც ისე გამოდის, რომ გაზა თავის თავს არ ღალატობს. გაზაა, მაშ ვინ... თუნდაც, პრინცი ჩარლზი დაირქვას.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ორმოცდაათის ტიტული სჯობს

*საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველმა რობერ პირესმა განაცხადა, რომ მისი კლუბისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ინგლისის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაა, ვიდრე წაუგებელ თამაშთა სერიის 50-მდე გაზრდა*

**არადა**, ორმოცდაათ თამაშიანი ნიშნული შორს სულაც არ არის. ამისათვის საჭიროა „არსენალმა“ ახლა „ასტონ ვილასთან“ და შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ არ წააგოს.

ფრანგულ გაზეთ „ეკიპთან“ საუბარში პირესმა განაცხადა: „ჩვენი ქომაგები ოცნებობენ, რომ ახლა „ასტონ ვილასთან“ არ დავმარცხდეთ და შემდეგ ტურში სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შევასრულოთ ორმოცდაათი. ეს ჩინებული აზრია, მაგრამ ერთადერთი, რაც ჩვენ გვაინტერესებს, ინგლისის ჩემპიონობაა“.

პირესი აგრეთვე აცხადებს, რომ გუნდში ახალი ფეხბურთელების დამატებით — მაგალითად, როგორიც წინა სეზონში ხოსე ანტონიო რეიესი გახლდათ — „არსენალი“ ახერხებს ჩემპიონთა ლიგაშიც ისევე ითამაშოს, როგორც პრემიერლიგაში თამაშობს.

„საწუწუნო არაფერია. ჩვენს გუნდში ჯანსაღი კონკურენციაა და ამ სეზონში ყველა ფრონტზე საბრძოლველად ძალები საკმარისად გვაქვს. გასულ სეზონში საშუალოდ ყოველ მეორე დღეს გვიწევდა თამაში და გადავიწვით“ — ამბობს ბოლოს პირესი.



რობერ პირესისთვის ინგლისის ჩემპიონობა უმთავრესია

**ბაბუნა ბედია**

# ცივსისხლიანი მკვლელი

## მათეუსმა კლინსმანის წინააღმდეგ

*ახლო წარსულის დიდმა გერმანელმა ვარსკვლავმა, დღეს უნგრეთის ნაკრების თავკაცმა ლოთარ მათეუსმა თავის ოდინდელ თანაგუნდელს და კოლეგას, გერმანიის ეროვნული გუნდის მწვრთნელ იურგენ კლინსმანს, ცივსისხლიანი მკვლელი უწოდა. მიზეზი გასაგებია: კვირას, კლინსმანმა მეკარეთა მწვრთნელი, წარსულში თავად დიდი მეკარე, ზეპ მაიერი გაათავისუფლა თანამდებობიდან*

**„იურგენი** საქმეს ცივსისხლიანი მკვლელის მეთოდით აკეთებს — განუცხადა მათეუსმა გაზეთ T.Z-ს — ის მოედანზეც მკვლელი იყო და ახლა, გერმანიის საფეხბურთო კავშირშიც მკვლელად დაიწყო მუშაობა. მის გულში ადამიანურობისთვის აღარ არის ადგილი. იგი თავისი მიზნების მისაღწევად გარშემო ხალხს თავებს კვეთს".

ზემოხსენებული ზეპ მაიერი, რომლის გამოც ატყდა ეს სკანდალი, მიუნხენის „ბაიერნსა" და გერმანიის ნაკრებში მეკარეთა მწვრთნელობით 1988 წლის მერე იყო დაკავებული, მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს თანამდებობა კვირას დაატოვებინეს. მიზეზი: მეკარეების, ოლივერ კანისა და იენს ლემანის დავაში მან კანს დაუჭირა მხარი. ეს ამბავი ამ უქმეებზე, თეირანში მოხდა, სადაც გერმანიის ნაკრებმა ირანისას 2:0 აჯობა. აღსანიშნავია, რომ ამ ამბამდე ორი კვირით ადრე, კანის მხარდაჭერისა და ლემანის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის კლინსმანმა მაიერისგან „ყვითელი ბარათი" მიიღო.

კლინსმანი ზეპ მაიერის თანამდებობაზე 1996 წლის ევროპის ჩემპიონის, ანდრეას კეპკეს დანიშვნას აპირებს.

**პაპუნა კედია**



ლოთარ მათეუსმა ზეპ მაიერის გათავისუფლება იურგენ კლინსმანს არ მოუწონა

# ეტოო გადარჩა

**კამერუნელი** სამუელ ეტოო იღბლიან ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. საქმე ისაა, რომ კვირას, საღამოს, „ბარსელონას" აფრიკელი ლეგიონერი პალმა დე მალიორკაზე იყო ჩასული და... ავარიაში მოჰყვა. საბედნიეროდ, ეტოო უვნებელი გადარჩა.

კამერუნელმა ქალაქის ცენტრში, სპორტული მანქანით სეირნობისას მავანი ადგილობრივი მცხოვრების სატვირთოსთვის გვერდის ავლა ვერ შეძლო. სამუელის ავტო თითქმის განადგურებულია, ხოლო თავად ფეხბურთელი, მცირე განაკაწრსაც არ უჩივის. სატვირთოში მსხდომნიც ასევე უვნებლად გადარჩნენ.

გაზეთ „მარკას" ცნობით, ორივე მხრიდან დაზარალებულთ ინციდენტის კერა ექიმთა დახმარების გარეშე მიუტოვებიათ და ნერვიულ შოკს თუ არ ჩავთვლით, თავს ჩინებულად გრძნობენ. „დარტყმის სიძლიერიდან გამომდინარე შედეგი საშინელი უნდა ყოფილიყო, თუმცა მათ აშკარად გაუმართლათ — საბედნიეროდ, არც ერთ მხარეს დაზიანება არ მიუღია".

**ლადო ხომერიკი**



სამუელ ეტოომ მალიორკაზე გაინავარდა და...

მარსელ დესაი, საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, კარიერას ყატარის ეროვნულ ლიგაში გააგრძელებს — „მარსელის", „მილანისა" და „ჩელსის" ოდინდელმა მცველმა კვირას არაბულ „ალ ჯარაფასთან" ერთი სეზონით მოაწერა კონტრაქტს ხელი. „მოხარული ვარ, რომ თამაშს ახალ გარემოში ვიწყებ. ეს მეტ გამოცდილებას შემძენს" — განაცხადა 36 წლის ვეტერანმა „ალ ჯარაფაში" ოფიციალური წარდგენისას

# ყატარში მარსელ დესაიც წავიდა

დესაის ახალ კლუბს ფრანგი სპეციალისტი ბრუნო მეტიუ ხელმძღვანელობს. მარსელი კი არაბთა ლიგაში 5-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. „ჯერჯერობით დიდ ფეხბურთთან გამომშვიდობება არ მინდა, 2004-05-ის სეზონის ბოლომდე ყატარში დავრჩები და მერე ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება" — ამბობს წარმოშობით განელი, ფრანგი, ვისაც საფრანგეთის ნაკრებში მატჩების სარეკორდო რაოდენობა ჩაუტარებია — 116 შეხვედრა.

ბრუნო მეტიუს ტიტულიანი შეგირდით ევროპული გუნდებიც იყვნენ დაინტერესებულნ, თუმცა ვეტერანი ფეხბურთელი „კრისტალ პალასის", „პორტსმუთის", „სელტიკისა" და „ბარსელონას" წარმომადგენლებს ვერ შეუთანხმდა. „ალ ჯარაფას" ფრანგმა ევროპელების გარდა მშობლიური განაც უარით გაისტუმრა — აფრიკელებმა სახელოვან თანამოძმეს გუნდის მწვრთნელობა უშედეგოდ სთხოვეს.

ჰოდა, მარსელ დესაიმაც ისლამურ აღმოსავლეთს მიაკითხა. „ჩვენი კლუბისთვის დესაი დიდი შენაძენია" — უთხრა კმაყოფილმა ბრუნო მეტიუმ ჟურნალისტებს.

**ლადო ხომერიკი**



მარსელ დესაი ფეხბურთს ყატარში დაუბრუნდა

# ნილსენმა პატარა ბელგია დაჩაგრა

**ბელგიის** ნაკრების ფეხბურთელები და იქაური სპორტული მედია ესპანეთ-ბელგიის ამასწინანდელი შესარჩევი მატჩის არბიტრ დანიელ კიმ-მილტონ ნილსონს მასპინძელი გუნდისადმი სიმპათიებში ადანაშაულებენ.

მსაჯმა, შეხვედრაში, რომელიც ესპანელებმა 2:0 იმარჯვეს, სტუმარი ერიკ დეფლანდრე და ბარტ გოორი გააძევა, რამაც ფლანდრიელები მიკერძოეობაში დაჰეჭვა. „მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრებმა მეტოქეზე უკეთესად ითამაშა, მსაჯის საქციელმა ჩვენი ნაკრების დასამარებას აქტიურად შეუწყო ხელი. მილტონ-ნილსენს წითელ ბარათებთან დაკავშირებით ნაკლები სიმკაცრე მართებდა" — აცხადებს ბელგიური „სუარის" კორესპონდენტი.

ზემოხსენებულ მატჩში ნილსენის მიერ გაძევებული დეფლანდრე პრესაზე გაცილებით კატეგორიულია: „თამაშის დაწყებამდე შევნიშნე, რომ მსაჯი რაულსა და სხვა ესპანელებს მეგობრულად ეხუმრებოდა. მერე, მატჩის პირველი წუთებიდანვე ჯარიმები მასპინძლების სასარგებლოდ დანიშნა. რახან ბელგია პატარა ქვეყანაა, უსამართლოდ მოგვექცნენ".

**ლადო ხომერიკი**



მეკარე ტრისტან პეერსმანმა და უესლი სონკმა მსაჯი კიმ-მილტონ ნილსენი მიკერძოებაში დაადანაშაულეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიეგოსთან ოთახში

## გაუფასურებული ხუან ვერონი ფიქრით თავს არ იწუხებს



*„ინტერი“ ხუან სებასტიან ვერონით შორს წასვლას აპირებს. და ვერონიც აპირებს... უფრო სწორედ ვერონი შორი გზიდან ისევ იტალიაში დაბრუნდა. „მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებული ორი ცუდი სეზონის შემდეგ ერთიც „ჩელსიში“ ინვალა და იმ ქვეყნის გზას დაადგა, რომლის ორ კლუბში, „პარმასა“ და „ლაციოში“ უთამაშია.*

*მაგრამ დაბრუნდა ფასდაკარგული: სამი წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მასში 28 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა, „ინტერმა“ კი „ჩელსისგან“ იქირავა და მეტი არაფერი.*

*ვერონს ეს ვერ გაუგია და ვერაფრით აუხსნია. რატომ მოიძულა უცებ „ჩელსიმ“? ან რა ჯანდაბამ დაუგდო ფასი?*

*თუმცა, იქნებ ეს ყველაფერი უკეთესიც იყოს, რადგან ახლა ძველი მეგობრის, რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით თამაშობს, ხოლო მისი პასები წინ ისეთმა ოსტატებმა უნდა მიიღონ, კრისტიან ვიერი და ადრიანო რომ არიან.*

*სხვათაშორის, „ინტერის“ პატრონი მასიმო მორატი ვერონის ყიდვას ადრეც ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ახლა, რობერტო მანჩინის დახმარებით საქმე გაიჩარხა და 29 წლის არგენტინელიც მზად არის ძველებურად გაიბრწყინოს. პლუს, ზურგიც აღარ სტკივა...*

**— ერთხანს ზურგი გტკიოდათ და ისე თამაშობდით. ხომ არ ფიქრობთ, რომ უმაღლეს დონეს ძველებურად ველარასოდეს დაუბრუნდებით?**

— გულწრფელად გეტყვით, ასეთი ეჭვები მართლაც მქონდა, მაგრამ ახლა ჯანმრთელობის პრობლემები აღარ მაქვს. ბევრი ტრავმა, კაცმა რომ თქვას, არც მაწუხებდა, მაგრამ რაც იყო მაწვალებდა.

**— „ინტერის“ ქომაგებმაც, როგორც ჩანს, სიხარულით მიგიღეს.**

— ასეთმა თბილმა მიღებამ მეც კი გამაკვირვა. ალბათ, ყველაფერი მანჩინის დამსახურება უნდა იყოს. მისმა „ინტერში“ გადმოსვლამ კლუბის ყველა წევრი და ქომაგი გამოაცოცხლა.



**— „მანჩომ“ მართლაც ჩასახა იმედი, თორემ მანამდე კლუბში და მის გარშემო ძალიან დეპრესიული ვითარება იყო. „ინტერმა“ გასულ სეზონში „მილანზე“ 20 ქულით ნაკლები მოაგროვა...**

— ვიცი, მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველა ღონეს ვიხმართ, ძალიან ბევრს ვიმუშავებთ და თუ ამ სეზონს „მილანზე“ ზემოთ დავასრულებთ, ფანტასტიკური იქნება.

**— სხვათაშორის, „ინტერს“ მოედნის შუაში თქვენი ტიპის მოთამაშე ძალიან აკლია...**

— იქნებ მართლაც ასე იყო. იმედი მაქვს, მხოლოდ ჩემს ამოცანას კი არ შევასრულებ, არამედ ნახევარდაცვის სხვა წევრებსაც დავეხმარები.

**— მანჩინიზე რას გვეტყვით?**

— მე მას ძალიან კარგად ვიცნობ და მისი იდეებიც ჩინებულად მესმის, მაგრამ მთავარი ამ იდეების მოედანზე გადატანაა. თუ მწვრთნელს კარგი იდეები აქვს, ფეხბურთელები კი მათ თამაშის დროს ვერ იყენებენ, ყველაფერი აზრსმოკლებული გამოდის.

**— თუ შეიძლება აგვიხსენით რა ხდება: სამი წლის წინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 28 მილიონ გირვანქად გიყიდათ, ახლა კი „ინტერს“ თქვენში ცენტიც არ გადაუხდია...**

— ამაზე არც მაშინ მიფიქრია, როდესაც ინგლისში ჩავედი, როგორც ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი და არც ახლა, იტალიაში უფასოდ დაბრუნების დროს ვიწუხებ თავს.

**— ინგლისში ხელი მოგეცარათ?**

— განსხვავებული სტილის ფეხბურთთან შესაგუებლად დრო ისედაც მჭირდებოდა და ამას ზედ ტრავმები დაერთო. ეჭვი არ მეპარება, ჯანმრთელობის პრობლემები რომ არა, ინგლისში იმაზე გაცილებით მეტს ვაჩვენებდი, ვიდრე ვაჩვენე.

**— რომან აბრამოვიჩზე რას გვეტყვით?**

— ფანტასტიკური კაცია. ის ფეხბურთის სამყაროდან არ მოსულა და ამ სფეროში საერთოდ ვერ ერკვევა, მაგრამ მთლიანად ამითაა შეპყრობილი.

**— და თქვენი ძმაკაცი დიეგო მარადონა?**

— იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება.

**— თქვენ „ბოკა ხუნიორსიდან“ რომ წამოხვედით, მან მართლა იტირა?**

— ჩინეთში ვიყავით. როდესაც ჩემი ამბავი შეიტყო, თავის ოთახში მიხმო. ტიროდა, მეუბნებოდა, ყველაფერი ესმის, მაგრამ თავის ბავშვებისთვის ჰქონდა ნათქვამი, რომ მე „ბოკადან“ არასოდეს წავიდოდი. მე, დიეგო და კილი გონსალესი ძალიან ვძმაკაცობდით.

**— მარადონა „ნაპოლიში“ რომ თამაშობდა თქვენ ბავშვი იქნებოდით, გახსოვთ მაშინდელი დიეგო?**

— დიახ. მაშინ მხოლოდ მე კი არა, მთელი არგენტინა უყურებდა „ნაპოლის“ მატჩებს. თუ არ ვცდები, მარადონას ფეხბურთი პირველად 1981 წელს ვნახე. ის იმ დღეს მამაჩემის წინააღმდეგ თამაშობდა.

**— და ბოლოს საპასპორტო სკანდალზე მინდა გკითხოთ. როგორ დასრულდა ეს ყველაფერი?**

— არ ვიცი. გარკვეულ ხალხს, იმისთვის, რომ სხვა არაევროკავშირელებიც მოეწვიათ, ჩემთვის იტალიური პასპორტის მოცემა სურდათ და მეც ვენდე. ეს დიდი შეცდომა იყო, ამან აყალმაყალი გამოიწვია და იძულებული გამხადა სხვა გუნდი მეძებნა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა „მანჩესტერ იუნაიტედიც“, მაგრამ მოდით, „ინტერზე“ მელაპარაკეთ...



ხუან სებასტიან ვერონი (მარჯვნივ) „ინტერით“ ძალიან კმაყოფილია



ლილიან ტურამი

## რომ ტურინელის გმრძვას სახელი

*საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფრანგი მცველი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ლილიან ტურამი თავის კარიერას „იუვენტუსში“ დაასრულებს — ტურინელებმა კონტრაქტის განახლება შესთავაზეს*

**ამბობენ,** რომ ტურამი და „ბებერი ქალბატონი“ 2006 წლამდე, ისედაც დოკუმენტალურად დადასტურებულ ურთიერთობას კლუბის ინიციატივით კიდევ ერთი წლით გაზრდიან. ცნობების თანახმად, მხარეებს ამის თაობაზე უკვე უსაბრიათ და ისეთ პირობაზე შეთანხმებულან, ორივე მხარეს რომ აწყობს.

32 წლის ტურამი გასულ სეზონში, მოგეხსენებათ, გარკვეული პრობლემების წინაშე იდგა, მაგრამ მას მერე, რაც „იუვენტუსის“ მწვრთნელად ფაბიო კაპელო დადგა, მდგომარეობა გამოსწორდა. დავაზუსტოთ: გასულ სეზონში „იუვეს“ დაცვა გუნდის უსუსტესი რგოლი გახლდათ, სადაც ყოფილ მარჯვენა მცველს, ტურამს ცენტრალური მცველობა ანაც შედარებით უცხო საქმის კეთება ჰქონდა დავალებული. ფრანგიც ამას აპროტესტებდა და ჩვეულ პოზიციაზე დაბრუნებას ითხოვდა, მაგრამ ახლა, როდესაც ტურინელებმა „ინტერიდან“ მისი პარმასდროინდელი პარტნიორი, ფაბიო კანავარო ჩამოიყვანეს, და მხარში ამოუყენეს, ტურამი თავს ცენტრშიც აღარ გრძნობს ეულად და ჩინებულადაც თამაშობს.

და ბოლოს, ამბობენ, რომ კონტრაქტის გახანგრძლივება ფრანგს წელიწადში 6 მილიონ დოლარიანი კონტრაქტის 30 პროცენტით შემცირებად დაუჯდა.

**პაპუნა ბედია**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# ალბერტ ლუკე: დამაყენონ და გავიტან

*დეპორტივოელი ალბერტ ლუკე ესპანეთ-ბელგიის შესარჩევ ჯახში გატანილი პირველი გოლის ავტორია. ფორვარდი მოედანზე მეორე ტაიმში, ფერნანდო ტორესის ნაცვლად გამოჩნდა და უმოკლეს ხანში ფლანდრიელთა დაცვის გარღვევა ადვილად შეძლო. ლუკე იღბლიანი მეგოლეა. რამდენიმე დღის წინ, მისმა ცაციამ მშობლიურ „დეპორს“ „რეალზე“ გაამარჯვებინა, 9 ოქტომბერს კი გალისიელის დარტყმამ ბელგიელთა მარცხს დაუდო სათავე. ესპანელთა მოიერიშეს იქაური „ლიბრედირექტოს“ კორესპონდენტი გაესაუბრა*



— ბელგიელებთან მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით არცთუ ისე კარგი გამოვიდა. სტუმრები ძირითადად თავიანთი კარის მშრალად შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ...

— ბელგიამ ჩვენთან თავიდანვე ფრეზე იბურთავა. მათთვის გასვლით შეხვედრაში აღებულ ქულას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, ცხადია, „ელ სარდინიეროზე“ ზედმეტად არ გარისკავდნენ. კარგია, რომ პირველი გოლის გატანა ესპანეთის ნაკრებმა მოახერხა — 1:0-ის შემდეგ თამაში გაცილებით იოლად წარვმართეთ.

— ლუის არაგონესი თავის სანაკრებო სიში ლუკეს შეყვანაზე ბოლომდე ყოყმანობდა. თქვენი აზრით, რანაირად გადაწყდებოდა შეხვედრის ბედი, „ელ სარდინიეროს“ მოედანზე მეორე ტაიმში მაინც რომ არ მოხვედრილიყავით?

— ვერაფერს გეტყვით. ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა გამიძნელდება. ესპანეთის ნაკრებში მოხვედრა ძნელია, იქ თავდასხმაში ყოფნის მსურველს კონკურენციას რაულის, ტორესის, ვისენტესა და რეიესისთანა მოიერიშეები უწევენ. სხვა საქმეა, როცა მწვრთნელი გენდობა და შენ შენი ოსტატობა მინდორზე საქმით უნდა დაამტკიცო. დამრიგებელმა ათიოდე წუთითაც რომ მომცეს თამაშში ჩაბმის საშუალება, მე მაინც გოლის გატანას და ჩვენი გუნდის დაწინაურებას ვეცდები.

— არბიტრმა ნილსენმა თუ მოახდინა რაიმე ზეგავლენა მატჩის საბოლოო შედეგზე?

— ბელგიელებს ორი კაცი გაუგდო და ამით რაღაცნაირად ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. მიუხედავად ამისა, მსაჯობა მიკერძოებული არ ყოფილა, დეფლანდრეცა და გოორიც წითელ ბარათებს სამართლიანად იმსახურებდნენ.

— ანტუნესის გუნდთან თქვენ სულ ცოტა, ორი გოლის შეგდება კიდევ შეგეძლოთ — პირველი მეკარემ მოიგერია, მეორე ეპიზოდში კი კარში დარტყმის მაგიერ ბურთი ხოსე ანტონიო რეიესს გადააწოდეთ...

— მართალია, მაგრამ ბელგიელებთან რაც გავიტანე, რეიესის შემწეობით მოხდა. მე და მას კი მინდორსა და მის გარეთ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. როდესაც გოლი შევაგდე, ხოსეს ვუთხარი, რომ მადლობას საგოლე პასით გადავუხდიდი. თქვენს მიერ ნახსენებ ეპიზოდში ანგარიშის გაზრდა შემეძლო, მაგრამ დანაპირებიც კარგად მახსოვდა და რეიესის მიმართულებით ჩავაწოდე. იქნებ ცოტა ეგოისტურად რომ მოვქცეულიყავი...

— ესპანეთს მეტოქის დაძლევა თითქმის მატჩის უკანასკნელ წუთებამდე გაუჭირდა...

— „ელ სარდინიეროს“ ბალახის საფარი საუკეთესო მდგომარეობაში არ არის და ფეხბურთელებს არ მოგვეცა შანსი, სრულად წარმოგვეჩინა ჩვენი შესაძლებლობები. ბურთს ძნელად ვიმორჩილებდით, თუმცა ბოლოს მაინც ღირსეულმა გაიმარჯვა.

— წესით, ბელგიელებთან გოლმა ლიტვასთან თქვენი ძირითადში თამაში უნდა განაპირობოს. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— წინასწარ არაფრის თქმა არ შემიძლია, ისე კი მომავალი მატჩისთვის მაინც მოვემზადები. ლუის არაგონესი და მე ერთმანეთს „მალიორკადან“ ვიცნობთ. მწვრთნელმა ჩემი ავანჩავანი კარგად იცის და თუ ლუკეს დახმარება დასჭირდება, შევეცდები, „ელ საბიოს“ იმედები არ გავაცრუო.

— მავანთა აზრით, „ელ სარდინიეროს“ შერკინება ნაკრებმა მსაჯის დახმარებით მოიგო. გუნდში როგორი განწყობა ამასთან დაკავშირებით?

— არბიტრმა თავისი საქმე უნდა აკეთოს. სხვანაირად მოქცევა ნილსენს არც შეეძლო. ბარტ გოორმა ხავის შეაფურთხა და რა, მხოლოდ გაფრთხილება უნდა მიეღო? გაძევებები რომც არ ყოფილიყო, ბელგიასთან თამაშს მაინც ჩვენ მოვიგებდით.

— ალბერტ ლუკეს ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ბურთები გააქვს — ჯერ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თქვენი გოლის წყალობით „დეპორტივომ“ „რეალი“ დაამარცხა, ახლა კი პეერსმანის კარის აღებით პრაქტიკულად თამაშის ბედი გადაწყვიტეთ...

— დიახ, ეს ჩემთვის კარგი კვირა იყო. ძალიან მიხარია, როცა კლუბს რთულ პერიოდში ვშველი ან ქვეყნის ნაკრებს ჩემი გოლებით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში მდგომარეობა უიოლდება.




**ესპანური** „მალაგას“ ფორვარდი მარსიო ამოროზო ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა და სამი კვირა ველარ ითამაშებს. „დორტმუნდიდან“ ანდალუზიურ კლუბში წლეულს გადაბარგებული ბრაზილიელი პრიმერადივიზიონის სამ ტურს გამოტოვებს.

**იტალიური** „მილანი“ ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი პერსპექტიული მოთამაშეებით — ვიქტორ ბუდიანსკითა და ილიას ზეიტულაევით დაინტერესდა. „ბებერ ქალბატონთან“ კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ ახალგაზრდა ფეხბურთელებს არაერთი მსურველი გამოუჩნდათ, მაგრამ ყველაზე მეტად „შავ-წითლები“ აქტიურობენ. ადრიანო გალიანის თქმით, თუ „მილანი“ მომავალ ზაფხულს ბუდიანსკისა და ზეიტულაევის ყიდვას შეძლებს, ფეხბურთელებს გამოცდილების მისაღებად სხვა კლუბებში გაანათხოვრებს.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებმა გულშემატკივრები გაახარეს. „მომავალ სეზონში მინდორს დაუბრუნდება მეკარე ნიკი ვივერი“ — ნათქვამია „სიტის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ჯერ კიდევ 5 წლის წინ ვივერი ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეკარედ ითვლებოდა, მაგრამ 2001 წელს მუხლის მყესები გაიწყვიტა და თითქმის უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა. თუმცა რამდენიმე თვის წინ მას უნიკალური ოპერაცია გაუკეთეს — ხელოვნური მყესები ჩაუნერგეს. ექიმების თქმით, გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის. „მელოდეთ, მომავალ სეზონში დავბრუნდები და კლუბის ძირითად შემადგენლობაში დავიბევებ ადგილს, მერე კი ეროვნულ გუნდში მოხვედრასაც ვეცდები“ — თქვა ვივერმა.

**იტალიური** „ფიორენტინა“ კრისტიან რიგანოსთან კონტრაქტს აზანგრძლივებს. ფორვარდით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მაგრამ სავარაუდოდ „იები“ მიზანს მიაღწევენ და იგი 2007 წლამდე „არტემიო ფრანკიზე“ იბურთავებს. თავად რიგანო ჯერ კიდევ ტრავმირებულია, მაგრამ ექიმების თქმით, მალე ვარჯიშს შეუდგება და მინდორსაც დაუბრუნდება.

**რუსული** „ლოკომოტივის“ მცველ ოლეგ პაშინინის ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ჩანდა. ფეხბურთელმა მუხლი დაიშავა და, ექიმების თქმით, 3-4 კვირა მოუწევს დასვენება. პაშინინი რკინიგზელებს რამდენიმე მნიშვნელოვან მატჩში ვერ დაეხმარება და ეროვნულ გუნდსაც დააკლდება.

**ირლანდიის** ნაკრების ნახევარმცველი ენდი ობრაიენი ფაბიენ ბარტეზის დასჯას ითხოვს. გასულ უქმეებზე საფრანგეთისა და ირლანდიის მატჩში მასპინძელთა გოლკიპერმა ობრაიენს იდაყვი გაჰკრა სახეში. ამ უკანასკნელის აზრით, ბარტეზმა ეს განგებ გააკეთა. საკითხს ფიფას სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს და გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

**რუსული** „ზენიტი“ უეფამ გულშემატკივართა უდისციპლინო საქციელის გამო 4 ათასი ევროთი დააჯარიმა. სანკტპეტერბურგელი ქომაგები უეფას თასის მატჩში „ცრვენა ზვეზდასთან“ პეტარდებს ისროდნენ, რაც უეფას არ მოეწონა და ამგვარი საქციელის გამეორების შემთხვევაში უფრო სერიოზული სასჯელით დაიმუქრა.

**უკრაინული** „შახტარი“ ადრიან მუტუს გადაბირებას აპირებს. როგორც იცით, რუმინელს ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და „არისტოკრატთა“ დატოვებას სურს. ფორვარდით ტურინის „იუვენტუსი“ და მადრიდის „ატლეტიკოც“ არიან დაინტერესებულნი. დონეცკელთა თავკაც მირჩა ლუჩესკუს კი იმედი აქვს, რომ მუტუ „შახტარს“ დარჩება და გუნდში მეექვსე თანამემამულეს მიიყვანს.

**შოტლანდიური** „რეინჯერსის“ ავსტრალიელ მცველ კრეიგ მურს ოპერაცია სჭირდება, რის შემდეგაც დაახლოებით ორი თვით მოუწევს დასვენება. 28 წლის ავსტრალიელი უეფას თასზე პოლონური „ამიკას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. იგი „ჩაფრებს“ „სელტიკთან“ თასზე და ჩემპიონატში გასამართ შეხვედრებშიც დააკლდება.

**ინგლისური** „ლესტერი“ მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. კლუბმა სეზონი უსახურად დაიწყო და ასოციაციის თასზე ასპარეზობას გამოეთიშა. აქედან გამომდინარე, მიკი ადამსმა პოსტის დატოვება გადაწყვიტა. „ეს „ლესტერისთვის“ ძალიან სამწუხარო დღეა. ყველას უნდა, რომ მიკი დარჩეს და ყველანაირად შევეცდებით, მას აზრი შევაცვლევინოთ“ — განაცხადა გუნდის თავმჯდომარე ტიმ დევისმა.

აზერბაიჯანელთა მწვრთნელი კარლოს ალბერტო, რომელიც საოთხშაბათოდ ამზადებს თავის გუნდს ინგლისელთა სამასპინძლოდ, ამბობს, რომ მთავარი ხიფათი მისიანებს უეინ რუნისგან მოელის

## კარლოს ალბერტო ფეხბურთს ითამაშებს

მწვრთნელს გადაუწყვეტია, რომ სამი კაცი მიუჩინოს ინგლისელ ყმაწვილს.

1970 წლის ლეგენდარული ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი, აწ კი აზერბაიჯანელთა თავკაცი ამ დღეებში ზის და რუნის პლეის ადარებს, ამბობს, ძალიან მაგონებსო.

მწვრთნელი უკმაყოფილოა თავისი გუნდის გასული თამაშებით ჩრდილოირლანდიასთან და უელსთან და ამბობს: „ინგლისი ალბათ მოგვიგებს, მაგრამ ჩვენ ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ“.

„ტოფიკ ბახრამოვის“ სტადიონის 32 ათასივე ბილეთი უკვე რა ხანია, გაყიდულია.

კარლოს ალბერტო მეტად კარგი და ფეხბურთის მოყვარე კაცია, მაგალითად, წუხს, რომ ბაქოში ტრავმირებული დევიდ ბექემი ვერ ითამაშებს: „ერთის მხრივ, კარგია, რომ ინგლისს ასეთი ძალა დააკლდა, მაგრამ მეორეს მხრივ, ხალხი მშვენიერი ფეხბურთელის ნახვას ვერ მოახერხებს“.

აზერბაიჯანი 116-ე ადგილზეა ფიფას რეიტინგში. კარლოს ალბერტომ თავისი სადებიუტო თამაში 0:6 წააგო ისრაელთან, მაგრამ მას შემდეგ გუნდი გადაახალისა, ყაზახები და უზბეკები დაამარცხა და ფრე მოუხერხა ჩრდილოირლანდიელებსა და უელსელებს.

„მთავარია, რომ ვაჩვენოთ — ფეხბურთის თამაში შეგვიძლია“ — ასეთი სიტყვებით ეგებება ძველი დროის ვარსკვლავი მორიგ თამაშს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მამა აფრიკა

**ბილეთების რიგში,** უფრო სწორედ კი ზედახორაში თუ ჭყლეტაში, სამი კაცი მოკვდა. ეს კვირის ამბავია. ხალხი გვინეისა და მაროკოს 1:1 დამთავრებულ თამაშზე ცდილობდა მოხვედრას. შეხვედრა გვინეის დედაქალაქ კონაკრაში ჩატარდა.

მოწმეები ამბობენ, რომ ტრაგედია მაშინ დატრიალდა, როდესაც 22 სექტემბრის სახელობის სტადიონზე შესვლას 35 ათასი ადამიანი ცდილობდა.

ამასობაში, მონროვიაში ლიბერია სენეგალს მასპინძლობდა, სენეგალმა 3:0 მოიგო — და მსაჯმა, სპილოს ძვლის ნაპირელმა აბუბაქარ შარაფმა ორჯერ გააჩერა თამაში. მიზეზი: ტრიბუნებიდან ქომაგები ათასი ჯურის საგნებს ყრიდნენ. პირველად მატჩი მაშინ შეწყდა, როდესაც ანრი კამარამ სენეგალელთა მეორე გოლი შეაგდო, ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე იმავე სელტიკელმა ფორვარდმა კიდევ ერთხელ გაიტანა და გახელებულმა ქომაგებმა კარგ ნახევარი საათი ანგრიეს იქაურობა.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 144 | ბარტონი-ჰალიფაქსი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 037 | მაინცი-ვერდერი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 17.30 | 038 | ბაიერნი-შალკე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 17.30 | 039 | ბოხუმი-ჰანზა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 040 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 17.30 | 041 | ჰამბურგი-არმინია | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 17.30 | 042 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 17.30 | 043 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.30 | 044 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.30 | 045 | მონხენგლადბახი-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 046 | ლივორნო-რომა | 4,4 | 3,1 | 1,8 | 1,81 | 1,27 | 1,13 |
| 22.30 | 047 | იუვენტუსი-მესინა | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 048 | ბოლონია-ატალანტა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 17.00 | 049 | ბრეშა-პარმა | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 17.00 | 050 | კალიარი-მილანი | 4,8 | 3,1 | 1,75 | 1,88 | 1,28 | 1,11 |
| 17.00 | 051 | ფიორენტინა-სიენა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 17.00 | 052 | ინტერი-უდინეზე | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| 17.00 | 053 | ლაციო-კიევო | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 17.00 | 054 | ლეჩე-პალერმო | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| 22.30 | 055 | რეჯინა-სამპდორია | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 00.05 | 001 | ბოლივია-ურუგვაი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 002 | ყაზახეთი-ალბანეთი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 17.00 | 003 | ანდორა-მაკედონია | 11,0 | 5,6 | 1,15 | 3,71 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 004 | ლატვია-ესტონეთი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 005 | ბულგარეთი-მალტა | 1,02 | 8,0 | 30,0 | 1 | 1 | 6,31 |
| 19.20 | 006 | სომხეთი-ჩეხეთი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 20.15 | 007 | უკრაინა-საქართველო | 1,4 | 3,8 | 6,0 | 1,02 | 1,13 | 2,32 |
| 20.30 | 008 | აზერბაიჯანი-ინგლისი | 12,5 | 5,6 | 1,12 | 3,86 | 1,02 | 1 |
| 21.00 | 009 | ნორვეგია-სლოვენია | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 22.00 | 010 | ლუქსემბურგი-ლიხტენშტაინი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.00 | 011 | მოლდოვა-შოტლანდია | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.00 | 012 | დანია-თურქეთი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 22.00 | 013 | სერბეთი-სან მარინო | 1,01 | 8,0 | 40,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 22.10 | 014 | ისლანდია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 22.15 | 015 | ლიტვა-ესპანეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 22.30 | 016 | ირლანდია-ფარერები | 1,04 | 7,5 | 25,0 | 1 | 1 | 5,76 |
| 22.30 | 017 | ჰოლანდია-ფინეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 22.45 | 018 | კვიპროსი-საფრანგეთი | 12,0 | 5,6 | 1,17 | 3,81 | 1,06 | 1 |
| 23.00 | 019 | უელსი-პოლონეთი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 020 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.00 | 021 | იტალია-ბელარუსი | 1,15 | 5,6 | 14,0 | 1 | 1,06 | 4 |
| 00.15 | 022 | პორტუგალია-რუსეთი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 01.05 | 023 | პარაგვაი-პერუ | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 03.00 | 024 | ჩილე-არგენტინა | 4,4 | 3,2 | 1,75 | 1,85 | 1,25 | 1,13 |
| 03.45 | 025 | ბრაზილია-კოლუმბია | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 03.00 | 026 | ვენესუელა-ეკვადორი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 300 | 18:00 | სელტიკი-ჰართსი | 1.2 | 5.5 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.6 |
| 301 | 18:00 | დანდი-კილმარნოკი | 2.3 | 3.2 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.5 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 302 | 18:00 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1.9 | 3.5 | 3.4 | 1.23 | 1.21 | 1.72 |
| 303 | 18:00 | ინვერნესი-აბერდინი | 2.85 | 3.2 | 2.3 | 1.5 | 1.27 | 1.33 |
| 304 | 18:00 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 305 | 17:00 | მოზერუელი-რეინჯერსი | 5.1 | 3.5 | 1.6 | 2.07 | 1.21 | 1.09 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 321 | 20:00 | შტურმი-პაშინგი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 322 | 20:00 | ტიროლი-რაპიდი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 323 | 20:00 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.2 | 5.2 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.47 |
| 324 | 20:00 | ბრეგენცი-ადმირა | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 325 | 17:30 | ზალცბურგი-გრაცერი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **ავსტრია. 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 326 | 21:00 | ალტახი-კაფენბერგი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 327 | 21:00 | გრატკორნი-კერნტენი | 2.9 | 3.1 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 328 | 21:00 | ლეობენი-აუსტრია(ლ) | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 329 | 21:00 | რიდი-ვიორგლი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 330 | 21:00 | უნტერზიბენბრიუნი-ლიცერი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 331 | 21:30 | აარაუ-ქსამაქსი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.7 |
| 332 | 21:30 | ბაზელი-სერვეტი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 333 | 21:30 | თუნი-ციურიხი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 334 | 18:00 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 335 | 18:15 | გრასჰოპერი-იანგ ბოიზი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| | | **ესპანეთი 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 70 | 20:00 | ბილბაო-მალაგა | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 71 | 20:00 | ატლეტიკო-რასინგი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 72 | 20:00 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4.0 | 3.3 | 1.85 | 1.8 | 1.26 | 1.18 |
| 73 | 20:00 | დეპორტივო-ხეტაფე | 1.4 | 3.8 | 7.7 | 1.02 | 1.18 | 2.54 |
| 74 | 20:00 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 75 | 20:00 | ნუმანსია-ლევანტე | 2.2 | 3.1 | 3.2 | 1.28 | 1.3 | 1.57 |
| 76 | 20:00 | ოსასუნა-ალბასეტე | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 77 | 20:00 | ვალენსია-სევილია | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 78 | 20:00 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 79 | 20:00 | ბეტისი-რეალი | 3.2 | 3.2 | 2.15 | 1.6 | 1.28 | 1.28 |
| | | **ესპანეთი. მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 80 | 20:00 | კორდობა-ტარაგონა | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 81 | 20:00 | ელჩე-ალმერია | 2.0 | 2.8 | 3.7 | 1.16 | 1.29 | 1.59 |
| 82 | 20:00 | სალამანკა-უელვა | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| 83 | 20:00 | ვალიადოლიდი-ლეიდა | 1.95 | 2.9 | 3.7 | 1.16 | 1.27 | 1.62 |
| 84 | 20:00 | ფეროლი-ალავესი | 2.5 | 2.7 | 2.8 | 1.29 | 1.32 | 1.37 |
| 85 | 20:00 | ეხიდო-სპორტინგი | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 86 | 20:00 | კადისი-სელტა | 2.7 | 2.7 | 2.6 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 87 | 20:00 | სიუდადი-სერესი | 2.7 | 2.7 | 2.3 | 1.35 | 1.32 | 1.32 |
| 88 | 20:00 | მალაგა ბ-მურსია | 2.2 | 2.7 | 3.4 | 1.21 | 1.33 | 1.5 |
| 89 | 20:00 | პონტევედრა-ტერასა | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 90 | 20:00 | ტენერიფე-ეიბარი | 2.1 | 2.8 | 3.5 | 1.2 | 1.31 | 1.55 |
| | | **საფრანგეთი. 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 345 | 22:00 | ლიონი-კაენი | 1.4 | 3.9 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 346 | 19:15 | ოსერი-ლანსი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 347 | 22:00 | ბორდო-ისტრი | 1.45 | 3.7 | 7.2 | 1.04 | 1.2 | 2.44 |
| 348 | 22:00 | ლილი-ბასტია | 1.7 | 3.2 | 5.1 | 1.11 | 1.27 | 1.96 |
| 349 | 22:00 | აიაჩო-სტრასბური | 2.1 | 3.0 | 3.5 | 1.23 | 1.31 | 1.61 |
| 350 | 22:00 | მეცი-მონაკო | 2.95 | 3.1 | 2.3 | 1.51 | 1.29 | 1.32 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 351 | 22:00 | ნანტი-პსჟ | 2.4 | 2.9 | 3.0 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 352 | 22:00 | ნიცა-ტულუზი | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 353 | 22:00 | სოშო-რენი | 1.9 | 3.1 | 4.0 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 354 | 23:00 | მარსელი-სტ.ეტიენი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| | | **ბელგია 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ოქტომბერი** | | | | | | |
| 365 | 22:30 | ბრიუსელი-ანდერლეხტი | 5.7 | 3.8 | 1.5 | 2.27 | 1.18 | 1.07 |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 366 | 22:00 | მუსკრონი-ოსტენდე | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 367 | 22:00 | სტანდარდი-ვესტერლო | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 368 | 22:00 | ლიერსი-გენტი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 369 | 22:00 | გენკი-მონსი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 370 | 17:00 | სერკლი-სტ.ტრუიდენი | 1.95 | 3.3 | 3.5 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 371 | 17:00 | ლუვიე-ბეერსხოტი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| 372 | 18:00 | შარლერუა-ბევერენი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 373 | 22:00 | ლოკერენი-ბრიუგე | 4.0 | 3.5 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 451 | 16:25 | სპარტა-სლავია | 1.65 | 3.6 | 4.6 | 1.13 | 1.21 | 2.01 |
| 452 | 22:00 | სლოვაცკო-ბუდეიოვიცე | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 453 | 22:00 | ბრნო-ზლინი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 454 | 19:00 | იაბლონეცი-პრჟიბრამი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 455 | 19:00 | ბოლესლავი-სიგმა | 3.1 | 2.9 | 2.2 | 1.49 | 1.28 | 1.25 |
| 456 | 19:00 | დრნოვიცე-ოპავა | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 457 | 19:00 | ტეპლიცე-ბლშანი | 1.45 | 3.7 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 458 | 18:40 | ბანიკი-ლიბერეცი | 1.9 | 3.1 | 3.8 | 1.17 | 1.26 | 1.7 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 459 | 17:00 | ინტერი-პეტრჟალკა | 3.5 | 3.2 | 1.9 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 460 | 17:00 | პუხოვი-დუბნიცა | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 461 | 17:00 | რუჟომბეროკი-სობოტა | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 462 | 19:00 | ტრნავა-ჟილინა | 2.6 | 3.0 | 2.5 | 1.39 | 1.27 | 1.36 |
| 463 | 20:00 | ტრენჩინი-ბ.ბისტრიცა | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 497 | 19:00 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1.75 | 3.3 | 4.4 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 498 | 17:00 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 499 | 17:00 | ჰერფიოლგე-რანდერსი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 500 | 17:00 | ორჰუსი-ოლბორგი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 501 | 17:00 | ვიბორგი-მიდტიულანდი | 2.65 | 3.2 | 2.4 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 502 | 19:30 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **16 ოქტომბერი** | | | | | | |
| 511 | 18:00 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 512 | 20:00 | ლილესტრიომი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 513 | 20:00 | ვიკინგი-ლინი | 2.05 | 3.1 | 3.4 | 1.23 | 1.27 | 1.62 |
| 514 | 20:00 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 515 | 20:00 | ვოლერენგა-სოგნდალი | 1.3 | 5.0 | 7.5 | 1.03 | 1.1 | 3.0 |
| 516 | 20:00 | მოლდე-ჰამარი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 517 | 21:00 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | **ევ.შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 609 | 12:00 | ყაზახეთი(21)-ალბანეთი(21) | 3.0 | 3.1 | 2.1 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| 610 | 15:00 | მოლდოვა(21)-შოტლანდია(21) | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| 611 | 16:00 | უკრაინა(21)-საქართველო(21) | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| 612 | 16:30 | სერბია(21)-სან მარინო(21) | 1.01 | 10.0 | 20.0 | 1.0 | 1.0 | 6.66 |
| 613 | 17:00 | ბულგარეთი(21)-მალტა(21) | 1.15 | 6.0 | 11.0 | 1.0 | 1.04 | 3.88 |
| 614 | 19:00 | ლატვია(21)-ესტონეთი(21) | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 615 | 19:30 | ისლანდია(21)-შვედეთი(21) | 4.2 | 3.2 | 1.7 | 1.81 | 1.21 | 1.11 |
| 616 | 20:00 | დანია(21)-თურქეთი(21) | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 617 | 16:00 | აზერბაიჯანი(21)-ინგლისი(21) | 14.0 | 8.5 | 1.05 | 5.28 | 1.0 | 1.0 |
| 618 | 20:00 | ლიტვა(21)-ესპანეთი(21) | 7.5 | 4.5 | 1.3 | 2.81 | 1.11 | 1.0 |
| 619 | 21:00 | კვიპროსი(21)-საფრანგეთი(21) | 8.5 | 5.5 | 1.2 | 3.33 | 1.05 | 1.0 |
| 620 | 21:00 | ნორვეგია(21)-სლოვენია(21) | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 621 | 21:00 | პოლანდია(21)-ფინეთი(21) | 1.15 | 6.0 | 11.0 | 1.0 | 1.04 | 3.88 |
| 622 | 21:45 | გერმანია(21)-ავსტრია(21) | 1.3 | 4.5 | 6.5 | 1.0 | 1.08 | 2.65 |
| 623 | 21:45 | უელსი(21)-პოლონეთი(21) | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 624 | 23:00 | იტალია(21)-ბელარუსი(21) | 1.1 | 7.0 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.66 |
| 625 | 23:45 | პორტუგალია(21)-რუსეთი(21) | 1.7 | 3.4 | 3.8 | 1.13 | 1.17 | 1.79 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 626 | 14:00 | სომხეთი(21)-ჩეხეთი(21) | 10.0 | 5.0 | 1.2 | 3.33 | 1.07 | 1.0 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **14 ოქტომბერი** | | | | | | |
| 631 | 21:00 | ნორჩიოპინგი-იურგორდენი | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 802 | 21:00 | სიორდეტელიე-მოდო | 2.4 | 4.2 | 2.1 | 1.52 | 1.12 | 1.39 |
| | | **ჰოკეი.ფინეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 814 | 19:30 | ჰელსინკი-ილვესი | 1.7 | 4.2 | 3.2 | 1.21 | 1.11 | 1.81 |
| 815 | 19:30 | ჰაამეენლინა-იოკერიტი | 2.3 | 4.2 | 2.1 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| 816 | 19:30 | ტურკუ-კერპეტი | 2.1 | 4.2 | 2.3 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 817 | 19:30 | პელიკანსი-ლუკო | 3.4 | 4.2 | 1.6 | 1.87 | 1.08 | 1.15 |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 818 | 19:00 | ტაპარა-იუვესკიულე | 1.7 | 4.2 | 3.2 | 1.21 | 1.11 | 1.81 |
| 819 | 19:30 | ლუკო-კერპეტი | 2.3 | 4.2 | 2.1 | 1.48 | 1.09 | 1.39 |
| | | **ჰოკეი.ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 832 | 21:00 | სლავია-ზნოიმო | 1.7 | 4.4 | 3.3 | 1.22 | 1.12 | 1.88 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 847 | 19:00 | პოპრადი-მიკულაში | 1.9 | 4.2 | 2.7 | 1.3 | 1.11 | 1.64 |
| 848 | 19:00 | კოშიცე-ტრენჩინი | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 849 | 19:00 | ნიტრა-სლოვანი | 2.7 | 4.2 | 1.9 | 1.64 | 1.11 | 1.3 |
| 850 | 19:00 | ჟილინა-სკალიცა | 1.6 | 4.2 | 3.6 | 1.15 | 1.1 | 1.93 |
| 851 | 19:00 | დუბნიცა-ზვოლენი | 7.0 | 5.0 | 1.25 | 2.91 | 1.06 | 1.0 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **12 ოქტომბერი** | | | | | | |
| 862 | 21:00 | ჰანოვერი-აისბარენი | 2.6 | 4.4 | 2.0 | 1.63 | 1.1 | 1.37 |
| 863 | 21:30 | კრეფელდი-დიუსელდორფი | 2.0 | 4.4 | 2.6 | 1.37 | 1.13 | 1.63 |
| | | **ჰოკეი, რუსეთი** | | | | | | |
| | | **13 ოქტომბერი** | | | | | | |
| 890 | 14:00 | სპარტაკი-ს.იულაევი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 891 | 14:00 | აკ ბარსი-ხიმიკი | 1.3 | 5.6 | 5.6 | 1.05 | 1.05 | 2.79 |
| 892 | 14:00 | ლოკომოტივი-ლადა | 1.9 | 4.6 | 2.26 | 1.34 | 1.03 | 1.51 |
| 893 | 14:00 | ცსკა-სევერსტალი | 2.4 | 4.6 | 2.0 | 1.57 | 1.09 | 1.39 |
| 894 | 14:00 | ნოვოკუზნეცკი-მაგნიტოგორსკი | 2.4 | 4.6 | 2.0 | 1.57 | 1.09 | 1.39 |
| 895 | 14:00 | მოლოტი-აკ | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 896 | 14:00 | ნეფტეხიმიკი-ავანგარდი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |
| 897 | 14:00 | სიბირი-დინამო | 4.0 | 6.0 | 1.4 | 2.4 | 1.03 | 1.13 |






# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | ნორვეგია-სლოვენია | 2,3 | 1,95 | 5,0 | 1,05 | 1,57 | 1,4 |
| 5012 | დანია-თურქეთი | 2,35 | 1,95 | 4,8 | 1,06 | 1,57 | 1,38 |
| 5019 | უელსი-პოლონეთი | 2,7 | 1,95 | 3,8 | 1,13 | 1,57 | 1,28 |
| 5020 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,8 | 1,95 | 2,7 | 1,28 | 1,57 | 1,43 |
| 5022 | პორტუგალია-რუსეთი | 2,0 | 2,15 | 5,6 | 1,03 | 1,47 | 1,55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | ნორვეგია-სლოვენია | 1,65 | 2,3 |
| 5412 | დანია-თურქეთი | 1,7 | 2,2 |
| 5419 | უელსი-პოლონეთი | 1,8 | 2,0 |
| 5420 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 2,0 | 1,8 |
| 5422 | პორტუგალია-რუსეთი | 1,5 | 2,6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | ნორვეგია-სლოვენია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5112 | დანია-თურქეთი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5119 | უელსი-პოლონეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5120 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5122 | პორტუგალია-რუსეთი | 2,2 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | ნორვეგია-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | დანია-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | უელსი-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | პორტუგალია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | ნორვეგია-სლოვენია | 1,75 | 1,85 |
| 5312 | დანია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | უელსი-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 1,7 | 1,9 |
| 5322 | პორტუგალია-რუსეთი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | ნორვეგია-სლოვენია | 1,7 | 1,9 |
| 5212 | დანია-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 5219 | უელსი-პოლონეთი | 1,7 | 1,9 |
| 5220 | ჩრდ.ირლანდია-ავსტრია | 1,7 | 1,9 |
| 5222 | პორტუგალია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |



# ათუაშვილს დებიუტი გაუნახევრეს

*კვირას საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში კიდევ ერთი ქართველის დებიუტს ველოდით, მაგრამ... სერგო ათუაშვილი „ვილერბანის“ წინააღმდეგ მოთამაშე „შალონის“ შემადგენლობაში იყო, თუმც თამაში ისე დასრულდა, 223-სანტიმეტრიანი ყმაწვილი გოლიათი სკამიდან არ წამომდგარა. გუნდში ახალი მოსული ვარ და სათანადო ფორმამდე ბევრი მიკლია, თანაც საფრანგეთის ერთ-ერთ გრანდს ვხვდებოდით და სულაც არ გამკვირვებია, ასეთ დაძაბულ მატჩში მოედანზე რომ არ გამიყვანესო— გვითხრა გუშინ ათუაშვილმა შალონიდან... სამაგიეროდ, სერგოს დებიუტი უკვე შედგა შალონელთა დუბლიორთა გუნდში. შაბათს ქართველმა ცენტრმა ვილერბანელ თანატოლებს 16 ქულა ჩაუგდო და 8 ბურთი მოუხსნა...*

— 12-კაციან შემადგენლობაში ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ მითამაშია. რომ ვთქვა, გული დამწყდაო, არ ვიქნები მართალი. საკმაოდ ძლიერი მეტოქე შეგვხვდა და მოედანზე ისეთი ბრძოლა მიდიოდა, გამოუცდელის ადგილი იქ არ იყო. ჩემთან ერთად ერთმა შალონელმაც არ ითამაშა — ჩვენიანებმა ათი კაცით მოუგეს „ვილერბანს“.

— ესე იგი, არც ელოდი, რომ ითამაშებდი...

— იმედი როგორ არ მქონდა, მაგრამ ცივი გონებით რომ დავფიქრდებოდი, „ვილერბანის“ წინააღმდეგ მატჩში მოედანზე ჩემს ადგილს ვერ ვხედავდი. თამაშის დროს რამდენჯერმე მომეცა იმედი, როცა მეტოქემ შემოგვიტია და მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო, მაგრამ...

— რას ფიქრობ, რამდენი ხნით გადაგედო შალონური დებიუტი?

— „შალონში“ ჩემი დებიუტი მაინც შედგა, ოღონდ დუბლიორთა გუნდში. შაბათს „ვილერბანის“ მეორე გუნდს შევხვდით და, სამწუხაროდ, წავაგეთ.

— სხვადასხვა დღეს რატომ იყო ძირითადი და დუბლიორთა გუნდის თამაში, საფრანგეთში ხომ ერთ დღესაც ხოლმე დიდ-პატარების მატჩები?

— „შალონი“ — „ვილერბანი“ ტურის ცენტრალური მატჩი იყო და სახელმწიფო ტელევიზიით გადაიცემოდა. ამიტომაც, ტექნიკურ მიზეზების გათვალისწინებით, დუბლების თამაში წინა დღეს გადაიტანეს.

— როგორი დებიუტი გქონდა?

— მთლად ისეთი არა, როგორიც ვინატრებდი, არადა, 23 წუთში 16 ქულა და 8 მოხსნა მოვაგროვე.

— დებიუტისთვის ეგ მშვენიერი შედეგია...

— ჩემს გუნდში მართლაც საუკეთესო ვიყავი, მაგრამ მატჩის ბომბარდირი ვილერბანელი ცენტრი გახდა. ჩემი მეურვე 218 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო, თითქმის ჩემოდენა და გამოცდილება მეტი რომ ჰქონდა, იმიტომ მაჯობა. მე სიცხიანი ვთამაშობდი, თორემ უკეთესი დებიუტი მექნებოდა.

— დუბლებშია დავით საყვარელიძეც...

— არის, მაგრამ არ უთამაშია, საქართველოს კალათბურთის ფედერაციიდან საყვარელიძის სახელზე ჯერ არ მოსულა გათავისუფლების ფურცელი და დათოც ვერ თამაშობს. იგი ამ დღეებში ელის დოკუმენტს და მომავალ ტურში ალბათ ითამაშებს. დათოს არყოფნა განსაკუთრებით აღნიშნა მწვრთნელმა, ის რომ ყოფილიყო, ალბათ არ წავაგებდითო.

— შენ მაინც რომელი გუნდის წევრად თვლი თავს — ძირითადის თუ დუბლების?

— მე ვარ „შალონის“ წევრი და სადაც საქმე მოითხოვს, იქ ვითამაშებ. გუშინ დუბლებს დავეხმარე, ხვალ შეიძლება დიდებში ვითამაშო, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თავიდან ბევრს არც ველი, ალბათ 3-5 წუთით გამიყვანენ მოედანზე. ამ ეტაპზე ესეც საკმარისი იქნება ჩემთვის, მერე კი ვნახოთ...

**ირაკლი პერტაია**

# ამირსპასალარი
## ფერეიდანში აღარ. ახლა უკვე ჰამადანში

**დღეს ღამით** სპარსეთის გზას მორიგი ქართული ეტაპი გაუყვება. უეჭველია, რომ კოტე ტულუში ირანში მიდის, ხოლო ბუბა ბერიშვილისა და დავით ბერძენიშვილის გამგზავრების ამბავი ჯერაც სათუოა.

მაშ ასე, ვლადიმერ ბეჟანიშვილის, ზურაბ ჩუბინიძის, არჩილ ჟღენტისა და ახლახან გამწვრთნელებული გოდერძი კორძაძის შემდეგ ირანში კოტე ტულუშიც გადაბარგდა. ეს ქართველები, თორემ სპარსეთში უკვე მოეწყვნენ საქართველოს ჩემპიონატში ნაბურთალები ლეგიონერები — არმენ ოგანესიანი, ჟოლვეტ ტუჯანი და პლასიდე როდუმტა. მაგრამ არც კოტე ტულუშია უკანასკნელი, „ირანულ“ რიგში კიდევ არაერთი ქართველი დგას, რომლებიც დღე-დღეზე ელიან ვიზას და როგორც კი მიიღებენ, საქართველოში ერთი წამით არ გაჩერდებიან.

ისმის ლოგიკური კითხვა: რატომ? რა უნდათ ევროპული ტრადიციების მატარებელ საქართველოს შვილებს ირანში, სადაც კალათბურთი 5-10 წლის წინ ეგზოტიკურ სპორტად ითვლებოდა? არა, მუსლიმურ სამყაროში კალათბურთს დიდ პატივს სცემენ და ეგვიპტე, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, გასული საუკუნის შუაწელში ევროპის ჩემპიონი გამხდარა. მაგრამ, ირანი?

არა, ყველაფრის პასუხი: „ჰამადნელებმა შემომითვალეს, ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს ოთახი დაგიჯავშნოთ თუ ცალკე ბინა გიქირაოთ, სად გიჯობს ცხოვრებაო?“ — გვეუბნება კოტე ტულუში. ვფიქრობთ, ამ ერთი წინადადებით ყველაფერს ნათელი ეფინება, კალათბურთელებს სპარსეთში „შერატონის“ დარ სასტუმროებში აცხოვრებენ და გასამრჯელოდ ხომ ხვდებით, აქაურზე რამდენით მეტს მისცემენ? ჰოდა, ვინ გინდა, გაამტყუნო, იპოვეს კარგი შემოსავლის წყარო და მიდიან სპარსეთში.

ეს ბიჭები ირანული ხელფასების მესამედზეც თანახმა იქნებოდნენ, ოღონდ საქართველოში დარჩენილიყვნენ, მაგრამ აქ კალათბურთში რაც აქამდე იყო, ის ფულიც უკან წაიღეს და საკალათბურთო მიგრაციას უკვე ველარ შეაჩერებ.

არადა, დახეთ, რა გაქანების ხალხი მიდის ირანში: სულ მოწინავე ქართულ კლუბებში ნათამაშები და აქ საკმაოდ დაფასებული მოთამაშეები. ირანულ კალათბურთში გაჩნდა ფული ანუ კონკურენცია და შემთხვევითი კაცი იქ ვერ მოხვდება. შემთხვევით შეიძლება მოხვდე რომელიღაც აზერბაიჯანულ გუნდში, მაგრამ ვერაფრით დაფუძნდები თეირანში, ჰამადანში, თავრიზში... თუნდაც ფერეიდანში.

„ირანში წასულ ყველა ქართველს ერთი აგენტი გვყავს, ვინმე ამირი — ამბობს კოტე ტულუში — ამ კაცთან მე ვაჟა კვარაცხელიამ დამაკავშირა და ამირის დამსახურებაა, ჰამადანელებმა ჩემი გუნდში აყვანა რომ გადაწყვიტეს. მათ უკვე ყველაფერი იციან ჩემზე და რომ ჩავალ, სასწაული უნდა მოხდეს, კონტრაქტი არ გამიფორმონ.“



კოტე ტულუში

ჰამადანურ კლუბშია ვაკო ბეჟანიშვილიც, რომელსაც კარგა გვარიანი დრო დასჭირდა, კონტრაქტი რომ დაემსახურებინა.

ასეა, ბიძიკო, გურჯისტანის წამყვან მოთამაშეებს, მრავალგზის ჩემპიონებსა და ნაკრებში ნაბურთავებ ხალხსაც ჭაპანწყვეტა უწევთ ირანში დასამკვიდრებლად. გურჯების მორიგი ნაკადი ალბათ ერაყისკენ დაიძვრება, როცა ნაჰუსეინარ ქვეყანაში კალათბურთისთვისაც მოიცლიან.

**ირაკლი პერტაია**

# აგენტისგან სიტყვას ველი
## ცქიტიშვილი საგამოფენო მატჩს ტოვებს



**ახლოვდება** ნბა-ს სეზონი და გუნდებშიც დიდი ფაცაფუცია. ჩვენი ყურადღება საითკენაა მიმართული და „დენვერისკენ“, სადაც ნბა-ში მობურთალ ქართველთაგან ყველაზე მეტად გასჭირვებია ნიკა ცქიტიშვილს, რომელიც შარშანწინდელი დრაფტის მე-5 რჩეული კია, მაგრამ ხუთეულში თამაშს ვინ ჩივის, მოედანზე 5-10 წუთით გასვლაც პრობლემად გაუხდა.

სკამზე ჯდომისგან „დაღლილი“ ცქიტიშვილი ახლახან „დენვერს“ ხელმძღვანელობას აუმხედრდა, წასვლა მინდაო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ქართველი ფორვარდი დროებით დააკავეს. ახლა კი ირკვევა, რომ ეს საქმე მთლად ჩაწყნარებული არ ყოფილა და ცქიტიშვილიც თავის ახალ აგენტ სტივენ ჰიუმანს ელის, რომელიც დენვერში გუშინ ჩავიდოდა ქართველის საქმის გასარჩევად.

„ჩამოვიდეს ჩემი აგენტი, დაელაპარაკოს კლუბის ხელმძღვანელობას და მერე გადავწყვეტ, ისევ მოვითმენ თუ არა „დენვერში“ ყოფნას“ — ამბობს ცქიტიშვილი.

ჰიუმანი ამ დღეებში ისეც უნდა ჩასულიყო დენვერში და „ნაგიტსის“ უფროსობასთან გადაეწყვიტა ცქიტიშვილის კონტრაქტის გაგრძელებასთან დაკავშირებული საკითხები. საქმე ისაა, რომ როცა ნიკა 2002 წელს დრაფტზე აიყვანეს, 3+1-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ხელშეკრულება იმგვარად შედგა, რომ მისი ერთი წლით გახანგრძლივება კლუბის უფლება იყო და დენვერელებმაც ამა წლის 31 ოქტომბრამდე უნდა გადაწყვიტონ, დამდეგი სეზონის შემდეგ დაშორდებიან ქართველს თუ კიდევ ერთი წლით დაიტოვებენ.

ამასობაში კი „ცქიტომ“ ფეხი დაიშავა და პირველ საგამოფენო მატჩს, ალბათ გამოტოვებს. „რამდენიმე დღე ფეხი ისე მტკიოდა, ვერც ვამოძრავებდი, ახლა კი დავდივარ კიდეც, ოღონდ სირბილი მიჭირს“ — ამბობს ცქიტიშვილი.

დენვერელები დღეს გამთენიისას ეთამაშებოდნენ ზაზა ფაჩულიას „მილუოკის“, მაგრამ სამწუხაროდ, ქართველები ალბათ ვერ შეხვდებოდნენ ერთმანეთს მოედანზე. დღესვე დენვერში ჩავიდოდა სტივ ჰიუმანი და თუ „ცქიტოს“ დენვერში დარჩენა გადაწყდა და მას ტრავმაც მოუშუშდა, ეგებ შაბათს მაინც იპაექრონ ზაზამ და ნიკამ — „ნაგიტსი“ და „მილუოკი“ მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

**ირაკლი პერტაია**



ზაზა ქაიხოსრაძის ფოტო

# ალექსანდრე მეტრეველი:

# მე საქართველოში ვარ, ჩემი მოსწავლეების გვერდით

*მის სახელს, როგორც წესი, გამოჩენილი, დიდ ჩოგბურთელს ურთავენ ეპითეტად. ეს სხვები... თავად კი საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს. ჩემზე სხვებმა ილაპარაკონო, ბრძანებს და თავის დიდ ვნებაზე, ჩოგბურთზე იწყებს საუბარს. ელექსანდრე მეტრეველზე მოგახსენებთ. ჩოგბურთი მისი ცხოვრებაა. ქართული ჩოგბურთის ისტორია კი ალექსანდრე მეტრეველის სახელის გარეშე ნაკლული და უფერულია.*

*„გამოჩენილი რუსი ჩოგბურთელი", თვალში მხვდება „სოვეტსკი სპორტში" ამოკითხული ფრაზა. როგორც ჩანს, ჩამქრალთა იგულისხმეს – განმარტავს ბატონი ალექსანდრე. კი ბატონო, ახლა დაბრალება ხომ მხოლოდ „ძველი, კეთილი" დროების ნოსტალგიით შეიძლება. თუმცა კი დასანანია.*

*დასანანია, სხვები იბრალებენ, ჩვენ კი არ გვახსოვს...*

— ბატონო ალექსანდრე, ჯერ პრობლემებზე ხომ არ ვისაუბროთ?

— ამას შედეგი არ მოყვება ხოლმე.

— წერე და იკითხე?

— დიახ, დაახლოებით ასეა. რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე თქვა? ჩოგბურთის კლუბ „დინამოს" დახმარება სჭირდება, პატრონი კი არავინაა. ეს არის და ეს.

— დახმარება მთლიანად ქართულ ჩოგბურთს ჭირდება, ჩვენ კი ის ადამიანი ხართ, ვისაც ეს ხელეწიფება. თუმცა ჯერ ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მიზეზზე ვთქვათ: 8 ოქტომბერს თქვენი სახელობის ტურნირი გაიხსნა. ტურნირი არსებობს, ესე იგი, ვცოცხლობთ...

— გააჩნია როგორ. ბუნებრივია, სპორტსმენი ბავშვობიდან თუ არ შეეჩვია კონკურენტუნარიან გარემოს, ისე საერთაშორისო სარბიელზე ვერ გავა. თუმცა შეჯიბრებების ჩქარ-ჩქარა გამართვა მიზანშეწონილი არ არის. მოზარდმა დასვენებაც უნდა მოასწროს და ახალი შეჯიბრისთვის მომზადებაც. ჩვენ ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს — ზამთარი. ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი დახურული დარბაზი, რომელსაც გათბობა არ აქვს.

— პრობლემებსაც მივადექით. პირველები ხელისუფლება არასდროს შეგიწუხებიათ ამით?

— რა თქმა უნდა, მქონდა საუბრები. შევარდნაძესთანაც კი ვიყავი. ჟვანიასაც ვესაუბრე, ნარჩემაშვილსაც. ბარამიძემ განაცხადა, რომ იმ 40 პროცენტს რომელსაც საზოგადოება „დინამო" ფლობს, დაგვითმობდა. მერე სიტუაცია შეიცვალა.

— რატომ არის ეს 40 პროცენტი ასე მნიშვნელოვანი?

— „დინამოს" კორტები 50-იანი წლებიდან ფუნქციონირებს და მოძველებულია, რაც აღარ იძლევა საშუალებას, საერთაშორისო ტურნირები მაღალ დონეზე ჩავატაროთ. შესაბამისად მოსაზიდია სოლიდური ინვესტიციები კლუბის რეკონსტრუქციისთვის და მისი გაფართოებისთვის. მაქვს საშუალება ინვესტორები მოვიზიდო, მაგრამ ამის წინაპირობად ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს" კუთვნილი 40 პროცენტის შეძენა მიმაჩნია. ამ წილის ფლობა მომცემს საშუალებას აქტიურად ვაწარმოო მოლაპარაკებები ინვესტორებთან. სპონსორი რომ დააინტერესო, თავადაც უნდა გქონდეს რაღაც მატერიალური. ამისთვის მხოლოდ სახელი საკმარისი არ არის.

სპონსორების გარდა, ამაში მერია და კულტურის სამინისტროც უნდა ჩაებან. მოკლედ აქ დიდი პოტენციალია, მხოლოდ კეთილი ნება და მტკიცე ხელია საჭირო.

— ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა, პრეზიდენტისთვის არ მიგიმართავთ?

— არა, თუმცა სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, გვქონდა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის სურვილი. კურიოზულ სიტუაციაში ჩავვარდი: წარმოიდგინეთ, შეხვედრა მაქვს დანიშნული, მივდივარ მის შტაბბინაში, მთაწმინდაზე. მდივანი მიხსნის, რომ შეხვედრა არ შედგება, რადგან რაღაც შეიცვალა. მოკლედ, იქ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ბუნებრივია, ჩემი ტელეფონის ნომერი დავტოვე და კორტებისკენ წამოვედი. აქ მოსულს თანამშრომელმა მითხრა, უფრო სწორედ, მომახარა — ახლა აქ სააკაშვილი იყო და ითამაშაო. ძალიან დავიბენი, თუ აქ იყო, იქ რატომ დამიბარა მეთქი, მოკლედ ვერაფერი გავიგე. თუმცა ეს ისტორია ამით არ დამთავრებულა. საღამო ხანს ტელეფონი რეკავს — სააკაშვილია. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და რადგან მეორე დილით მოსკოვში მივფრინავდი, შეხვედრა ისევ გადავდეთ. საუბრის ბოლოს, ვერ მოვითმინე და ვეუბნები: ბატონო მიშა, თუ ჩოგბურთის სწავლა გსურთ, მე მზად ვარ მეთქი. გადაირია კაცი, რას ამბობ, ჩოგანი ხელში არ ამიღიაო. ისევ ვერაფერი გავიგე. მოვძებნე ჩემი თანამშრომელი და... გეხუმრეო. არადა წარმოდგენა არ ჰქონდა იმ დღეს სად ვიყავი...

— ამის შემდეგ აღარ გიცდიათ შეხვედრა?

— ახლა, როცა ქვეყანაში ამდენი პრობლემაა, ამაზე აღარ მიფიქრია.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ახლა რუსეთში მოღვაწეობთ, რუსებმა დააფასეს ალექსანდრე მეტრეველი...

— მიუხედავად ამისა, დაუფიქრებლად ჩამოვალ საქართველოში და მთელ ენერგიას კლუბს მოვახმარ.

— პრეზიდენტიც ხომ ამას მოუწოდებს საზღვარგარეთ წასულ ქართველებს?

— მე აქ ვარ, არსად წავსულვარ. ის, რასაც რუსეთში ვაკეთებ, არის ჩემი პური არსობისა. როდესაც შამილ ტარპიშევმა მთხოვა რუსეთში გადასვლა, აქ აბსოლუტური ქაოსი იყო. მე უძლური ვიყავი, ჩემი ცოდნა ქართული ჩოგბურთისკენ მიმემართა. არ ვიცი, ღირს თუ არა ახლა ამაზე ლაპარაკი, ავტომატებით დარბოდნენ და ისევ მოითხოვდნენ დევისის თასზე ნაკრებში მათ კანდიდატს ეთამაშა... დალუპეს ის ბავშვი. მომზადებული არ იყო, მაინც გაუშვეს და ისეთი ტრავმა მიიღო, მერე აღარც უთამაშია. მაშინ წავედი, ამას ტარპიშევის გამოჩენაც დაემთხვა.

— ახლა თქვენ ტელეახ **НТВ+** მუშაობთ და ბრწყინვალედაც მიგყავთ საჩოგბურთო მატჩები...

— მე არ ვთვლი, რომ პროფესიონალი სპორტული ჟურნალისტი ვარ. უბრალოდ, მესმის ჩოგბურთი და რაც შემიძლია იმას ვაკეთებ.

— ყოველთვის იმას ამბობთ, რაც საჭიროა. მაგრამ არის მომენტი, როდესაც უნდა გაჩუმდე...

— მაინც სიამოვნებით ჩამოვიდოდი აქ, რომ ვიცოდე, საქმე მელოდება. არ მაძლევენ გასაქანს.

— მაყურებლის პოზიციიდან დასანანი იქნება, თუკი სპორტულ ჟურნალისტიკას თავი დაანებებთ...

— მე ოპტიმისტი ვარ და ვულხელდაკრეფილი ჯდომა არ მჩვევია. სპონსორების მოზიდვაზეც ბევრს ვფიქრობ და მყავს კიდეც ასეთი კანდიდატურები საზღვარგარეთ. მაგრამ ისევ ჩვენი კლუბის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, ასეთი ხალხი საქართველოშივე მოგვეძებნა. მხოლოდ ქართველს შეიძლება გაუჩნდეს სურვილი, ჯერ განავითაროს და შემდეგ იფიქროს მოგებაზე. ნებისმიერი უცხოელი მხოლოდ მოგებაზე იზრუნებს, ეს კი ქვეყნის ინტერესებს, ქართული ჩოგბურთის ინტერესებს დააზარალებს. არადა, 5-6 წელიწადი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მოგებაზეც ვიფიქროთ.

— თქვენს კლუბს კარგი ადგილმდებარეობა აქვს...

— ესეც საინტერესო ისტორიაა. ადრე აქ მიგდებული ჭალა იყო, ნაგავსაყრელიც. ბერიას დროს დაიწყო კლუბის მშენებლობა, თუმცა ინციატორი თავად ბერია არ ყოფილა. მითვის ეს ცოლს, ნინა გეგეჭკორს უთხოვნია. იგი თავად აქტიურად თამაშობდა ჩოგბურთს.

— ესე იგი თავად თამაშობდნენ, თუმცა ჩოგბურთს პოპულარიზაციას არ უწევდნენ? ანუ, ეს სპორტის სახეობა უფრო ელიტისთვის იყო განკუთვნილი?

— ბერიას ცოლს თავისი მწვრთნელებიც კი ჰყოლია. იყვნენ ასეთები: ვერმიშევა და სამარგულიანი. სწორედ მათ თხოვეს საკუთარ მოსწავლეს შუამდგომლობა მეუღლესთან და ჩანს, მანაც იაქტიურა.

— თქვენც აქ ვარჯიშობდით?

— პირველად აქ კალათბურთს დავესწარი. ქორქია და ჯორჯიკია თამაშობდნენ ცენტრალურ მოედანზე. ამას რა დამავიწყებს, ომის შემდგომი წლები იყო. ჩოგბურთის თამაშიც აქ დავიწყე. სოლოლაკში ვცხოვრობდი 10 წუთში ჩამოვრბოდი ხოლმე.

— ძალიან უბრალოდ ყვებით, თითქოს არც არაფერი. იქნებ არსებობს ლეგენდა, რომელიც გოლგოთას გზაზე მოგვითხრობს?

— არა, ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. ჯერ ქალაქის პირველობაზე გავიმარჯვე, მერე რესპუბლიკის — ეს ძალიან იოლი იყო. მერე საკავშირო შეჯიბრებებზე ვითამაშე კარგად და ახალგაზრდულ ნაკრებში მოვხვდი.

— ესე იგი, არაფერი გულისამაჩუყებელი თქვენი ცხოვრების ამ ნაწილში არ მომხდარა. არ დატანჯულხართ არც თქვენ, არც თქვენი მშობლები და ახლობლები?

— არა, არავინ დატანჯულა. უბრალოდ გულმოდგინედ ვვარჯიშობდი. დედა ნაკლებად, მაგრამ მამა ინტერესდებოდა და შეჯიბრებებს ესწრებოდა. ახლა, რომ დედები და მამები გიჟებივით დარბიან, მსგავსი არაფერი ხდებოდა. ჩემს ვარჯიშებსაც არავინ ესწრებოდა. მოკლედ, დამოუკიდებლობის საშუალებას მაძლევდნენ. რუსი გოგონების გასაოცარ ფენომენზე რომ საუბრობენ, ეს შემთხვევითი არ არის. ერთ მაგალითს მოგიყვებით, რასაც ჩემი თვალით ვხედავ: სავარჯიშოდ 9 წლის გოგონა მოდის. მარტო. სახლიდან კორტებამდე საათნახევარი უნდა იაროს ტრანსპორტით, რადგან ქალაქგარეთ ცხოვრობს. ზურგზე უზარმაზარი ჩანთა აქვს ჩოგნებით და სხვა საჭირო ნივთებით. მოკლედ მოდის, ვარჯიშობს, დამოუკიდებლად მიდის სასადილოდ, შემდეგ სკოლაში, სკოლიდან კი ისევ კორტებზე ბრუნდება. მისი სამუშაო დღე გვიან საღამოს მთავრდება. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ ბავშვი ამით იტანჯება, ან უპატრონოა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მსგავსი არაფერი ხდება. უპატრონო. ან უსულგულო მშობლების შვილი მოსკოვში კორტის ფულს ვერ გადაიხდის. ჩვენთან შედარებით იქ ეს ციფრი გაცილებით დიდია და მის გადახდას ყველა ვერ ახერხებს.

— თუ ბავშვს დამოუკიდებლობას მივცემთ, ამ შემთხვევაში მწვრთნელის პატიოსნებას უნდა მივენდოთ, ეს კი ხშირად, რბილად რომ ვთქვათ, არ ამართლებს.

— ეს რუსეთშიც პრობლემაა. ალბათ გამოსავალი მწვრთნელის მატერიალური დაინტერესებაა.

— მაგრამ ჩვენი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი ვერ ახერხებს ამას.

— აი, ამიტომ არის საჭირო ჩოგბურთის აკადემიის შექმნა.

— ნამდვილი აკადემიის.

— როგორც გინდათ ისე უწოდეთ, მთავარი ის არის, რომ ეს მოგვცემს საშუალებას, დახმარება მივიღოთ არა მარტო მშობლებისაგან, არამედ საზოგადოებისგანაც, სპონსორებისგან, სახელმწიფოსგან. ეს მოგვცემს საშუალებას 50 გადახდისუნარიანი მოზარდის გვერდით ერთი-ორი გადახდისუუნარო ნიჭიერი ბავშვი გავზარდოთ.

— ბატონო ალექსანდრე, ნიჭი თუ შრომა?

— თქვენ მითხარით, რა არის ნიჭი?

— რთული სათქმელია...

— გეთანხმებით, ერთი კია, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

— როგორც არ არსებობს სპორტი პოლიტიკის გარეშე.

— ეს ადრე ძალიან საგრძნობი იყო. ბუნებრივია, დახურული საზღვრები სასიკეთოდ სპორტს ვერ წაადგება. მახსოვს, დევისის თასზე სამხრეთ აფრიკასთან და ჩილესთან არ გვათამაშეს, ასეთი პოლიტიკური სიტუაცია იყო.

— მაგრამ მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად თქვენ ითამაშეთ უიმბლდონზე. ეს დიდი წარმატება იყო. არ ვიცით, როგორი კომენტარი უკეთდებოდა მაშინ თქვენს ამ ტრიუმფს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — თქვენ ითამაშეთ უიმბლდონის ფინალში.

— იან კოდეშთან. მისთვის 10-ჯერ მაქვს მოგებული. მას ფინალების დიდი გამოცდილება ჰქონდა, საფრანგეთის პირველობა სამჯერ ჰქონდა მოგებული. მე ამდენის საშუალებას არ მაძლევდნენ. აქედან გაღწევა მაინც რთული იყო. რთული იყო კიდევ ბევრი რამ. საუბრის დასაწყისში მითხარით, თანამედროვე რუსული პრესა რუსად მოგიხსენიებსო. 1966 წელს, როდესაც „TIMES-ის" კორესპონდენტი ჩემი ეროვნებით დაინტერესდა, მე ვუპასუხე, რომ ქართველი ვარ. მან ძალიან კარგად იცოდა, ვინც ვიყავი, მაგრამ აინტერესებდა, რამდენს გავბედავდი.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ ისევ ბედნიერი მხოლოდ უიმბლდონზე, როლან გაროსზე, ამერიკის ღია პირველობაზე ან რომელიმე მაღალი დონის შეჯიბრზე ახლა თქვენს აღზრდილთან ერთად იქნებით...

— მთავარი ის არის, რომ ამ პატარებმა რაც შეიძლება ბევრი ითამაშონ. ეს არის ამ ტურნირის, სხვა ტურნირების მთავარი მიზანი და დანიშნულება. მე კი აქვე, მათ გვერდით მიგულეთ.

**დეა ცუცქირიძე**

# გაგვიჭირდება კოკა კოლას დალევა



ლადო ჩიხლაძე

**დღეს** ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე მამაკაცთა საერთაშორისო ტურნირი — „კოკა კოლას ღია პირველობა“ იწყება. ორდღიანმა საკვალიფიკაციო ეტაპმა ისე ჩაიარა, ქართველთათვის სახეირო არაფერი მოუტანია. წინა ტურნირის მსგავსად, ძირითად ბადეში გამსვლელ რვა საგზურს ამჯერადაც უცხოტომელები დაეპატრონნენ. არადა, საკვალიფიკაციო ოცდათორმეტეულში თორმეტი ჩვენებური იყო.

თბილისის ღია პირველობის მსგავსად, ძირითად ბადეში ამჯერადაც ირაკლი უშანგიშვილი, ლადო ჩიხლაძე და დავით კვერნაძე ჩასვეს. კვლავ „ველური ბარათებით“, რადგან არცთუ მაღალი რეიტინგი საუკეთესო ოცდათორმეტში პირდაპირ მოხვედრის საშუალებას არ აძლევდათ.

პირველი წრის შეხვედრები დღეს-ხვალ ჩათამაშდება. ჩიხლაძე და კვერნაძე კორტზე დღეს გავლენ, ხოლო უშანგიშვილი — ხვალ. წინა ტურნირით და დევისის თასის თბილისური შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტად წარმატებას ირაკლი უშანგიშვილისგან უნდა ველოდოთ, თუმც კენჭისყრამ პირველსავე წრეში ისეთი მეტოქე არგუნა, ალბათ ყველაზე ნაკლებად რომ ისურვებდა. რუსი კირილ ივანოვ-სმირნოვი „კოკა კოლაზე“ პირველ ნომრადაა განთესლი და საერთაშორისო რეიტინგსიაში ჩვენებურზე 700 ადგილით წინაცაა. თან რამდენიმე დღის წინ სწორედ მან დააზრევინა ჩოგანი თბილისის ღია პირველობაზე. ახმახი რუსის შანსებს ქართველის ბრძოლისუნარიანობა, რევანშის წყურვილი და თანწყობილი ქომაგობა უნდა დაუპირისპირდეს. თუ ეს მოხერხდა, სასიამოვნო სენსაციაც გამოცხვება.

თავისზე უკეთეს რეიტინგოსანს შეხვდება დავით კვერნაძეც, თუმც დიდი გამოცდილებით ვერც რუსი ალექსეი ფილენკოვი დაიკვეხს და თუ ჩვენებურმა ყოჩაღად ითამაშა, იქნებ მეორე წრეშიც გააღწიოს. ლადო ჩიხლაძის მოწინააღმდეგემ, უკრაინელმა სერგეი მიროპოლსკიმ კი ძირითად ბადეში ადგილი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოიპოვა.

დასასრულ ერთიც: ქალთა საერთაშორისო ტურნირებისგან განსხვავებით, თბილისის ღია პირველობაზე ტრიბუნებზე აშკარად სიხალვათე იგრძნობოდა. სასურველია, ამჯერად უკეთესი დასწრება იყოს. ეს ხომ პირველ რიგში ქართველ ჩოგბურთელებს წაადგებათ, მით უფრო, რომ დასწრება უფასოა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

PORSCHE TENNIS GRAND PRIX

ფილდერშტადტი. მაგარსაფარი

საპრიზო 650 ათასი $

# იგებს და, მაინც მივდივარო

**ფინალი**

**ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) 6:2**

**მორესმომ შეწყვიტა**

28 წლის კალიფორნიელმა და მასზე სამი წლით უმცროსმა პარიზელმა ნახევარფინალში ორ წიწკვ რუსგოგოს — ანასტასია მისკინასა და სვეტლანა კუზნეცოვას აჯობეს. ოღონდ ამ ამბავს იმიტომ კი არ აღვნიშნავთ, რომ ასაკოვანთაგან წიწკვთა ძლევით გვსურს გაგაკვირვოთ. არა, აქ მთავარი ის არის, რომ ამ წიწკვთაგან პირველი წლევანდელი როლანგაროსობის გამარჯვებულია, მეორე კი — აშშ-ის ღია პირველობისა. დევენპორტისა და მორესმოს გამარჯვებებსაც გამორჩეულ მნიშვნელობას სწორედ ეს გარემოება ანიჭებს.

საკუთრივ ფინალზე კი შემდეგი უნდა ითქვას — ამელი მორესმომ პირველი სეტის მესამე გეიმში მარცხენა ფეხის მავანი კუნთი დაიჭიმა და, იმის მიუხედავად, რომ ექიმებმა სათუთად გამოუზილეს, სულ მალე მატჩის შეწყვეტა მაინც მოუხდა. ნაფინალევს ის პარიზში გადაფრინდა, რათა იქაურ ექიმებთან კონსულტირების შემდეგ გაერკვია, შეძლებს თუ არა ამ საამკვირაოდ კრემლის თასზე გამოსვლას.

ლინდსიმ კი კარიერის 45-ე და წლის მეშვიდე ტიტულთან ერთად დამსახურებულად ირგუნა ზიპინა „პორშე“ საბარგულში ჩალაგებული 98 500-დოლარითურთ. რეიტინგსიის პირველ საფეხურამდე ასასვლელად კი სულ რაღაც 16 ქულა დააკლდა — გუშინ გამოცემულ ახალ სიაში პირველოსნობას 4395 ქულით კვლავ მორესმო ინარჩუნებს, 4380 ქულის მქონე დევენპორტი კი მეორეზეა. შეგახსენებთ, რომ ფილდერშდადტში ჩოგების გარდა ლინდსიმ წლეულს კიდევ ტოკიოში, ამელი აილენდში, სტენფორდში, ლოს ანჯელესში, სან დიეგოსა და ცინცინატიშიც იმარჯვა.

არადა, დაუჯინია, წლის ბოლოს უთუოდ უნდა გადავდგეო. ქალისას გაიგებ რამეს!

**ლევან ძელაურაძე**





მაიკლ ფელპსი ჯანმრთელობამ დაადალატა

# მაიკლ ფელპსმა მოკლე წყალში ვერ გაცურა

**ამერიკელმა** კეიტლინ სანდენომ ინდიანაპოლისში მიმდინარე „მოკლე წყლის“ მსოფლიოს ჩემპიონატში 200 მეტრზე ბატერფლაითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში გამარჯვებების მერე მესამე ოქროს მედალიც მოიპოვა. ამჯერად იგი უძლიერესი იყო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.02.01.

ჩვეულებრივ მოცურავეთა შეჯიბრებები ამა თუ იმ კონტინენტისა და მსოფლიოს რეკორდებით თუ მიღწევებით გამოირჩევა, მაგრამ ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ლამის მიწურულამდე ამ მხრივ თავს ვერ იწონებდა. საქმე ისაა, რომ მოცურავეებმა თავიანთ პიკს ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მიაღწიეს და იქ მოსახვედრადაც დიდი ენერგია დახარჯეს. ამიტომაც ინდიანაპოლისში მიმდინარე ჩემპიონატში ზოგი უძლიერესი არც გამოდის, ხოლო ისინი, ვინც ძალას ცდიან, თავდაპირველად რეკორდებით ვერ ბრწყინავდნენ. ამ მხრივ ნავსი გატეხეს ავსტრალიელებმა, როცა 4X100 მეტრზე ქალთა კომბინირებულ ესტაფეტაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს — 3.54,95. ავსტრალიელებმა ამით გააუმჯობესეს შვედების 2002 წლის მოსკოვური მიღწევა (3.55,78).

ავსტრალიელთა წარმატებაში დიდი წვლილი დაიდო ბრეკ ჰენსონმაც, რომელმაც მერე 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაშიც მსოფლიოს რეკორდი (1.05,36) დაამყარა.

მანამდე მან გაიმარჯვა ამავე სტილით 50 და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში.

მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ამერიკელმა იან კროკერმაც. მან ამ წარმატებას 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მიაღწია (22,71), მანამდე კი ვინც 100 მეტრიან დისტანციაზეც უძლიერესი იყო.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვების მერე, ათენის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორ მაიკლ ფელპსს მოულოდნელად წელკავი დაემართა. მან რამდენიმე გაცურვა გამოტოვა იმ იმედით, რომ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში და ესტაფეტაში გამოვიდოდა, მაგრამ ტკივილმა არ გაუარა, შეჯიბრება საერთოდ მიატოვა და შინ გაემგზავრა.

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო და, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებს ერთი-ორმა ნაკლებად ცნობილმა მოცურავემაც გამოჰკრა ხელი. მაგალითად, უფელპსოდ დარჩენილ ვაჟთა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ტუნისელმა უსამა მელულიმ მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო ამავე დისტანციაზე ვაჟთა თავისუფალი სტილით ასპარეზობაში რუსმა იური პრილუკოვმა.

ეს ეკატერინბურგელი 20 წლის მოცურავე მართალია, სამგზის ევროპის ჩემპიონია „გრძელ წყალში“, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატში ოქროს მედალი არც „დიდ წყალში“ მოუპოვებია აქამდე და არც პატარაში. ამჯერად მისი წარმატება იმანაც განაპირობა, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს გრანტ ჰაკეტი.

ამასობაში კი ამერიკელები უგრანტოდ და უსხვებოდაც ოქროს მედლების უმეტესობას ერთი მეორის მიყოლებით იგებენ.

„ამერიკელები მართლაც ყოჩაღები არიან. ისინი იმარჯვებენ იმიტომ, რომ წარმოუდგენლად ძლიერები არიან“ — დაასკვნა იური პრილუკოვმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# კაპიტანო, არ დაგვღუპო!

## უილკინსონმა დედა ინგლისი დააფეთა



**ინგლისის** ნაკრებისა და „ნიუკასლ ფალკონზის“ გამთამაშებელი ჯონი უილკინსონი რვათვიანი პაუზის შემდეგ რომ დაუბრუნდა დიდ რაგბის და ზარ-ზეიმით ჩაიბარა ნაკრების კაპიტნობა, უკვე მოგეხსენებათ, მაგრამ კვირას თავისი კლუბის შემადგენლობაში ლონდონის „ვოსფზის“ წინააღმდეგ თამაშისას კინაღამ თავზარი დასცა გულშემატკივარს. ერთ-ერთი შეჯახებისას მხრის ტრავმა მიიღო და ვინძლო მთელ სარაგბო ინგლისს სახეზე ფითრი გადააკრა. მხარნატკენმა ჯონიმ ექიმთა ჩარევის შემდეგ მატჩი გააგრძელა და ჟურნალისტებს დამაიმედებლად უპასუხა: „არაფერია, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მხრის კუნთები ჯერ ბოლომდე მოყოჩაღებული ვერაა და ტკივილიც ამან გამოიწვია. ექიმთა ჩარევის შემდეგ 5 წუთში ველარაფერს ვგრძნობდი. ახლა ცოტა გარჯიში და შემდეგ კვირას „სარასენებთან“ ისევ მოედანზე ვიქნები.“

როგორც ჩანს, ტრავმა მართლაც არ ყოფილა სერიოზული და ბრიტანეთის კუნძულის იმ მესამედზე, სადაც ინგლისელები ცხოვრობენ, რომ იტყვიან, შვებით ამოისუნთქეს.

**ლადო ფულუკიძე**

# ბროუდფუტი კვლავ ჩვენთანაა

**გუშინ**, საქართველოს რაგბის კავშირმა და რაგბის საერთაშორისო საბჭომ რაგბის მხარდამჭერთა ალიანსის ხელშეწყობით ორწლიანი საქველმოქმედო სამუშაო დაასრულა და იქვე ახალ, უვადო თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.

თუ გახსოვთ, ეს ის „SOS“ პროგრამაა, რომელსაც ქველი ბრიტანელი ჯონ ბროუდფუტი და IRB (რაგბის საერთაშორისო საბჭო) საქართველოს რაგბის კავშირთან ერთად ატარებს.

„სპორტ-კაფეში“ საგანგებოდ მოწყობილ საღამოზე ქართულ რაგბიში მოტრიალე ხალხი შეიყარა და ბრიტანელთაგან ჩამოტანილი საჩუქრებიც დანაწილდა. ინგლისის ნაკრების მისურები და სპორტული ინვენტარი ყველა სტუმარს ერგო, კლუბებს, ვეტერან მორაგბეებს, ფედერაციის მუშაკებს, სპონსორებს და ჟურნალისტებს. სამახსოვრო საჩუქრები, რაგბის კავშირმა ბრიტანელ სტუმრებსაც გადასცა. მეორე და მესამე ტაიმი კი რესტორან „მარკო პოლოში“ გაგრძელდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS ნიუპორტ ბიჩიდან



# შიდსთან მებრძოლნი

კალიფორნიაში, ნიუპორტ ბიჩზე საქველმოქმედო გალა გაიმართა, რომელსაც მიზნად შიდსთან მებრძოლი ფონდების დახმარება ჰქონდა. საჩოგბურთო განთქმულებიც იქ იყვნენ. ვთქვათ, ენდი როდიკი და ანა კურნიკოვა; ასევე, ლეგენდარული ბილი ჯინ კინგი, რომელსაც ელტონ ჯონი ეხმატკბილებოდა.



REUTERS სენტ ენდრიუსიდან

# ლუკა ყვანჯით

შოტლანდიაში, სენტ ენდრიუსის უძველეს და უმშვენიერეს კლუბში გრძელდება დანჰილ ლინქზის ჩემპიონატი. ამ შეჯიბრში ტრადიციისამებრ ბევრი განთქმული ვინმე მონაწილეობს და თუ კარგა ხანია, არ გინახავთ გაზეთებსა და ტელეეკრანზე, შეათვალიერეთ: ლუკა ვიალიც აქ არის.



REUTERS სიდნეიდან



# ჰარი მუშაობს

ავსტრალიის უპირველესი საფეხბურთო ვარსკვლავი ჰარი კიუელი სიდნეიშია და სანაკრებო თამაშისთვის ემზადება. სიმართლე ითქვას და მოსამზადებელიც ბევრი არაფერია, სოკერუებმა პირველ ოკეანურ ფინალში 5-1 მოუგეს სოლომონის კუნძულების გუნდს და საპასუხოშიც არ დაიჩაგრებიან. ჰარი კი, რომელიც „ლივერპულში“ თამაშობს, ყველაფერზე აწერდა ხელს: სამოსზეც და საფეხბურთო სუვენირებზეც.



REUTERS მაიამიდან

# ჰიპ-ჰოპის სტუმარი

ასეთი კარგი კოსტუმი და ასეთი მშვიდი სახე, ხელში კი ფოტოაპარატი. მაიკ ტაისონი მაიამიში ჩასულა, სადაც ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავთა დაჯილდოების საღამო ხმაურობდა. ბარე ასმა მომღერალმა იჰიპ-ჰოპა იმ ღამეს და მაიკიც გაერთობოდა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ქელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge